ადამიანური უსაფრთხოების გაგზომილებები: უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესება საქართველოს თემებში

ექვსი მუნიციპალიტეტის კონსოლიდირებული ანგარიში



ეკატერინე გამახარია

2024

სექტემბერი

სარჩევი

მოკლე მიმოხილვა 3

შესავალი 4

ნაწილი I: კვლევის მეთოდოლოგია და დემოგრაფიული მონაცემები 5
1.1. მეთოდოლოგია 5
1.2. გამოკითხვის მონაწილეთა სოციალურ-დემოგრაფიული პროფილი 6

ნაწილი II: კვლევის ძირითადი შედეგები 7
2.1. მოსახლეობის უსაფრთხოების შეგრძნების დონე 7
2.2. უსაფრთხოების განსაზღვრა მოსახლეობის თვალთახედვით 9
2.3. ეკონომიკური უსაფრთხოება 12
2.3.1. ეკონომიკური უსაფრთხოების დონის შეფასება 12
2.3.2. მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყაროები 13
2.3.3. ეკონომიკური უსაფრთხოების მთავარი საფრთხეები 14
2.3.4. მოსახლეობის ხედვები ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის თაობაზე 17
2.3.5. სახელმწიფო ეკონომიკური პროგრამების შესახებ ინფორმირებულობა და ინფორმაციის წყარო 19
2.4. სასურსათო უსაფრთხოების დონე 21
2.4.1. სასურსათო უსაფრთხოების დონის შეფასება 21
2.4.2. სასურსათო უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევები 22
2.5. ეკოლოგიური უსაფრთხოება 26
2.5.1. ეკოლოგიური უსაფრთხოების დონის შეფასება 26
2.5.2. ეკოლოგიური უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევები 26
2.6. ჯანმრთელობის უსაფრთხოება 30
2.6.1. ჯანმრთელობის უსაფრთხოების შეფასება 31
2.6.2. ჯანმრთელობის უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევები 31
2.7. საზოგადოებრივი უსაფრთხოება 36
2.7.1. საზოგადოებრივი უსაფრთხოების დონის შეფასება 36
2.7.2. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მთავარი გამოწვევები 37
2.8. პირადი უსაფრთხოება 40
2.8.1. პირადი უსაფრთხოების დონის შეფასება 40
2.8.2. პირადი უსაფრთხოების მთავარი გამოწვევები - რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები 41
2.9. უსაფრთხოების გაზრდილი რისკების გავლენა მოსახლეობაზე 43
2.9.1. ადამიანური უსაფრთხოების გაზრდილი რისკების უარყოფითი გავლენა 43
2.9.2. ადამიანის უსაფრთხოების გამოწვევებზე მთავრობის რეაგირება და საზოგადოების ნდობა 44

დასკვნა 45

რეკომენდაციები 45

კვლევის ჩატარება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულისხმიერი მხარდაჭერით USAID-ის სააგენტოს მეშვეობით

კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ქალთა ფონდ „სოხუმს“ და, შესაძლოა, არ გამოხატავდეს USAID-ის პოზიციას

ადამიანური უსაფრთხოების განზომილებები: უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესება საქართველოს თემებში

ექვსი მუნიციპალიტეტის კონსოლიდირებული ანგარიში

მოკლე მიმოხილვა

ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ ჩატარებულ კვლევაში შეფასებულია ადამიანური უსაფრთხოების დონე ექვს სამიზნე მუნიციპალიტეტში[1], რომელმაც მოიცვა მოსახლეობის ფართო სპექტრი, მათ შორის სხვადასხვა ასაკისა და სტატუსის ქალები და მამაკაცები: დევნილები, ადგილობრივები, სოციალურად დაუცველი და შშმ პირები, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედები, პედაგოგები, ექიმები, მეწარმეები, თემის ლიდერები, სტუდენტები, ახალგაზრდები, პენსიონერები, ადგილობრივი ექსპერტები და სხვა. კვლევის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ადამიანის უსაფრთხოების სხვადასხვა განზომილების (მათ შორის ეკონომიკური, საზოგადოებრივი, სასურსათო, პირადი, ჯანმრთელობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების) შესწავლა, ასევე მოსახლეობის უსაფრთხოების ზოგადი განცდის შეფასება. გარდა ამისა, კვლევა მიმართულია მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემების და გამოწვევების იდენტიფიცირებასა და მათ დასაძლევად ეფექტიანი რეაგირების სტრატეგიების გამომუშავებაზე, ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ დონეზე პოზიტიური ცვლილებების ადვოკატირებისთვის.

სამიზნე მუნიციპალიტეტებში, ადამიანური უსაფრთხოების სხვადასხვა კატეგორიისა და პარამეტრის თვალსაზრისით, მოსახლეობაში უსაფრთხოების განცდა საშუალო მაჩვენებელს უტოლდება. მონაწილეთა უმეტესობამ საკუთარი უსაფრთხოების განცდა 5-ქულიან სკალაზე 3 ქულით შეაფასა, რაც უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის ზომიერ, საშუალო აღქმაზე მიუთითებს. მოცემული კვლევა ყოვლისმომცველია და ხაზს უსვამს იმ სხვადასხვა ფაქტორის ნიუანსურ ურთიერთქმედებას, რომლებიც ადამიანის უსაფრთხოებას აყალიბებს.

ეკონომიკური უსაფრთხოება: ეკონომიკური სტაბილურობა ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად რჩება შემოსავლის წყაროებზე წვდომის და ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვის თვალსაზრისით, სადაც საგრძნობლად იკვეთება ადგილობრივ მოსახლეობასა და იძულებით გადაადგილებულ პირებს შორის სხვაობა. შესაბამისად, საზოგადოების ყველა ჯგუფისთვის სტაბილური დასაქმებისადმი, სამართლიანი ანაზღაურებისა და ფინანსურ რესურსებზე თანასწორი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მოსახლეობის მნიშვნელოვან საჭიროებას წარმოადგენს.

სასურსათო უსაფრთხოება: საკვები პროდუქტების მაღალი ფასები, პროდუქტის დაბალი ხარისხი და სასურსათო მაღაზიებზე შეზღუდული წვდომა კვლევის სამიზნე ჯგუფისთვის გამოკვეთილ პრობლემას წარმოადგენს. ისეთი გარემო ფაქტორები, როგორებიცაა პესტიციდების გამოყენება და კლიმატის ცვლილება, კიდევ უფრო მეტ საფრთხეს უქმნის საკვების ხარისხსა და ხელმისაწვდომობას, რაც ხაზს უსვამს გაუმჯობესებული რეგულაციებისა და ადგილობრივი სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამების აუცილებლობას.

ეკოლოგიური უსაფრთხოება: გარემოს დაცვის საფრთხეთა ნუსხაში გამოიკვეთა ნარჩენების ცუდი მართვა, სასმელ წყალზე წვდომის პრობლემა, წყლის არასათანადო ხარისხი და კლიმატის ცვლილების ნეგატიური შედეგები. საზოგადოების წინაშე არსებული პრობ-

1 ქუთაისის, წყალტუბოს, ხონის, სენაკის, ზუგდიდის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტები

ლემები ნათლად მიუთითებს, გარემოსდაცვითი პოლიტიკის გაუმჯობესების და მდგრადი პრაქტიკის დანერგვის საჭიროებაზე, რაც არსებული რისკების შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა.

ჯანმრთელობის უსაფრთხოება: ჯანმრთელობის უსაფრთხოების პრობლემები მოიცავს სამედიცინო მომსახურების მაღალ ხარჯებს, დაბალი ხარისხის სერვისებს და ჯანდაცვის დაწესებულებებზე შეზღუდულ წვდომას. სამედიცინო მომსახურების მძიმე ფინანსური ტვირთი და ჯანდაცვის სისტემისადმი ფართოდ გავრცელებული უნდობლობა პოლიტიკის გაუმჯობესებისა და ჯანდაცვის უკეთესი რეგულირების გადაუდებელ საჭიროებაზე მიუთითებს.

საზოგადოებრივი უსაფრთხოება: კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესება, ნივთიერებაზე დამოკიდებულების მზარდი მასშტაბები და აგრესიის მაღალი დონე საზოგადოებაში, ეს ის მნიშვნელოვანი პრობლემებია, რომლებიც საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე უდიდეს გავლენას ახდენს. მდგომარეობას მნიშვნელოვნად ამწვავებს გზებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის პრობლემები და სამართალდამცავი ორგანოების მიმართ მოსახლეობის დაქვეითებული ნდობა, რაც მოითხოვს ყოვლისმომცველ მიდგომას საზოგადოებრივი უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად.

პირადი უსაფრთხოება: პირადი უსაფრთხოების პრობლემები მოიცავს ეკონომიკური არასტაბილურობით გამოწვეული მზარდი მიგრაციის საკითხს, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას და ოჯახში ძალადობის ფართო მასშტაბებს. ქალები უფრო მეტად გამოხატავენ შეშფოთებას ამ საფრთხეების გამო, რაც პირადი უსაფრთხოების გენდერულ განზომილებაზე მიუთითებს და მოწყვლადი მოსახლეობის დასაცავად მიზნობრივი ინტერვენციების აუცილებლობას უსვამს ხაზს.

ადამიანურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა გულისხმობს ჰოლისტურ და ყოვლისმომცველ მიდგომას, რაც ცალკეული სამინისტროების, მუნიციპალიტეტების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიურ ჩართულობას მოითხოვს. ანგარიშის ბოლოს წარმოდგენილი დეტალური რეკომენდაციების განხორციელება ხელს შეუწყობს ადამიანური უსაფრთხოების სხვადასხვა კატეგორიის გაუმჯობესებას.

შესავალი

ამჟამად ქვეყანა გადაუჭრელი და გაჭიანურებული კონფლიქტების, არასტაბილური შიდა პოლიტიკური კლიმატის და მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების კომპლექსური პრობლემის წინაშე დგას. ამ ფაქტორთა ერთობლიობა აძლიერებს მოსახლეობის მოწყვლადობას და, ამასთან, აფერხებს ქვეყნის სტაბილურობასა და განვითარებას. დღესდღეობით, ქვეყანაში ნათლად იკვეთება ადამიანური უსაფრთხოების დაბალი დონე, რაც უკავშირდება არამდგრად სამუშაო პირობებს, შემოსავლების არასტაბილურობას, ჯანმრთელობის არასაკმარის დაცვას, გარემოს დაბინძურებას და ოჯახში ძალადობის მზარდ მაჩვენებლებს. აღნიშნული მდგომარეობა მნიშვნელოვნად არღვევს მოსახლეობის ფსიქოემოციურ კეთილდღეობას, იწვევს აგრესიას და ამუხრუჭებს საზოგადოების განვითარებას, რითაც საფრთხეს უქმნის ქვეყნის მშვიდობასა და სტაბილურობას.

აღნიშნულ გამოწვევათა დასაძლევად **მნიშვნელოვანია მოსახლეობის ადამიანური უსაფრთხოების დონისა და უსაფრთხოების განცდის მუდმივი შეფასება**. ადამიანური უსაფრთხოება მოიცავს სხვადასხვა პარამეტრს, როგორებიცაა: ეკონომიკური, საზოგადოებ-

რივი, სასურსათო, პირადი, ჯანმრთელობის, საგანმანათლებლო და ეკოლოგიური უსაფრთხოების ასპექტები. ამ პარამეტრების გაცნობიერება კი მნიშვნელოვანია ეფექტიანი პოლიტიკის და საჭირო ინტერვენციების განსახორციელებლად, რაც მოსახლეობის საერთო კეთილდღეობისა და ქვეყანაში სტაბილურობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

ქალთა ფონდი „სოხუმის" მიერ განხორციელებული კვლევით შეფასდა ექვს სამიზნე მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ადამიანური უსაფრთხოების ხარისხი, რომელშიც სხვადასხვა ასაკისა და სოციალური სტატუსის ქალები და მამაკაცები იღებდნენ მონაწილეობას, რაც სხვადასხვა ჯგუფის უნიკალური გამოწვევებისა და საჭიროებების საფუძვლიანი შესწავლის შესაძლებლობას იძლევა.

კვლევის მთავარი მიზანია ადამიანური უსაფრთხოების სხვადასხვა პარამეტრის შესწავლა (ეკონომიკური, საზოგადოებრივი, სასურსათო, პირადი, ჯანმრთელობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების ასპექტების ჩათვლით) და მოსახლეობის უსაფრთხოებისა და დაცულობის შეგრძნების შეფასება. ის ასევე, მიზნად ისახავს უსაფრთხოებისთვის ძირეული რისკების დადგენას და იმ კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირებას, რომლებიც მოსახლეობაში საფრთხისა და არასტაბილურობის შეგრძნებას აძლიერებს. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა ყოვლისმომცველი რეკომენდაციები, გაიწერა პრობლემების გადაჭრის სტრატეგიები, რაც უზრუნველყოფს პოზიტიური ცვლილებების გატარებას ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

აღნიშნული ძალისხმევის ცენტრში დგას ქალთა ფონდი „სოხუმის" მიერ თემის დონეზე დანერგილი გენდერულად მგრძნობიარე კონფლიქტების ადრეული გაფრთხილების სისტემა (GREWS). GREWS მიზნად ისახავს მოსალოდნელი კონფლიქტების ან კრიზისების შესახებ მონაცემების შეგროვებას და ანალიზს, საფრთხეების იდენტიფიცირებას და დროული რეაგირების სტრატეგიების შემუშავებას. სისტემა ხაზს უსვამს როგორც ქალების, ისე მამაკაცების კონკრეტული საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობას. სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის საჭიროა, რომ იგი ადგილობრივი თემების პრიორიტეტებს ეფუძნებოდეს, მისი წარმატება კი ინფორმაციის შეგროვების, მონაცემთა ანალიზისა და კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავების საქმეში თემის აქტიურ და პირდაპირ ჩართულობაზეა დამოკიდებული.

ნაწილი I: კვლევის მეთოდოლოგია და დემოგრაფიული მონაცემები

1.1. მეთოდოლოგია

მონაცემთა შეგროვების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ექვსი სამიზნე მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თემების წარმომადგენელი ქალები და ახალგაზრდა ლიდერები. კვლევაში გამოყენებულ იქნა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდები. რაოდენობრივი კვლევისთვის შემუშავდა სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც, ძირითადად, ადამიანის უსაფრთხოების სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებულ დახურულ კითხვებს შეიცავდა. ონლაინ ჩატარებული რაოდენობრივი გამოკითხვა რესპონდენტებს მოცემული პასუხებიდან რამდენიმე ვარიანტის არჩევის ან ალტერნატიული მოსაზრებების გამოთქმის საშუალებას აძლევდა.

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 945-მა ადამიანმა, მათ შორის 628-მა ქალმა და 317-მა მამაკაცმა, ხოლო თვისებრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 189 მონაწილემ,

მათ შორის 151-მა ქალმა და 38-მა მამაკაცმა; ჯამში ჩატარდა სამიზნე ჯგუფის 24 დისკუსია და 24 სიღრმისეული ინდივიდუალური ინტერვიუ, წინასწარ შემუშავებული სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით.

სულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 1134-მა მოქალაქემ, მათ შორის 779-მა ქალმა და 355-მა მამაკაცმა. რესპონდენტები საზოგადოების მრავალფეროვან ჯგუფებს წარმოადგენდნენ, მათ შორის იძულებით გადაადგილებულ პირებს, კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობას, ადგილობრივებს, სოციალურად დაუცველ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, მარტოხელა დედებს, ექიმებს, მეწარმეებს, თემის ლიდერებს, სტუდენტების, ახალგაზრდებს, პენსიონერებს, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს და სფეროს ექსპერტებს.

კვლევამ იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონების ექვსი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მოიცვა: ქუთაისი, წყალტუბო, ხონი, ზუგდიდი, სენაკი და წალენჯიხა. რესპონდენტების შერჩევა სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიულ მახასიათებელზე დაყრდნობით მოხდა, რაც მონაცემების განზოგადებას უზრუნველყოფს. კვლევა 2024 წლის თებერვლიდან მარტამდე პერიოდში ჩატარდა.

1.2. გამოკითხვის მონაწილეთა სოციალურ-დემოგრაფიული პროფილი

რაოდენობრივი გამოკითხვის რესპონდენტთა **გენდერული შემადგენლობის მიხედვით,** რესპონდენტთა 66.5% იყო ქალი, ხოლო 33.5% - მამაკაცი. რესპონდენტთა ასაკი 18-დან 65 წლამდე მერყეობდა, საიდანაც 23.3% იყო 18-30 წლის, 35.8% - 31-45 წლის, 30.4% - 46-65 წლის და შედარებით მცირე ნაწილი, 10.6% - 65 წელს ზემოთ.

სოციალურ-დემოგრაფიული სტატუსის მიხედვით, რესპონდენტთა 54,9% ადგილობრივი მოსახლეა, რომელთაგან 6.6% კონფლიქტის გამყოფ ხაზთან მიმდებარე სოფლებში ცხოვრობს, ხოლო 45.2% იძულებით გადაადგილებული პირია, მათ შორის 5% ასევე კონფლიქტის გამყოფ ხაზთან ბინადრობს.

დასაქმების ტიპის მიხედვით, რესპონდენტთა უმრავლესობა, 29.3%, უმუშევარია. დასაქმებულ რესპონდენტთა შორის 27.3% სახელმწიფო სექტორში მუშაობს, 15.1% კერძო ბიზნესშია ჩართული (როგორც მეწარმე ან თვითდასაქმებული), 11.6% სტუდენტია, 11.6% პენსიონერია, ხოლო 5% სამოქალაქო სექტორშია დასაქმებული. უმუშევრობის საკითხში მონაცემთა სიღრმისეულმა ანალიზმა გამოკვეთა გენდერული უთანასწორობა: უმუშევარია მამაკაცების 33.1%, ქალების 27.4%-თან შედარებით. გარდა ამისა, უმუშევართა შორის იძულებით გადაადგილებული პირები ჭარბობენ - 36.1%, ადგილობრივი მოსახლეობის 23.7%-თან შედარებით. ეს ხაზს უსვამს იძულებით გადაადგილებული პირების წინაშე არსებულ მუდმივ ეკონომიკურ გამოწვევებს და სტაბილური დასაქმების შესაძლებლობებზე მათ შეზღუდულ წვდომას.

სახელმწიფო დასაქმების მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობა უფრო ხშირად არის დასაქმებული სახელმწიფო სექტორში - 35%, დევნილ მოსახლეობასთან შედარებით - 17.3%, რაც სახელმწიფო დაფინანსებულ სამუშაო ადგილებზე წვდომის უთანასწორობაზე მიუთითებს.

განსაკუთრებით თვალშისაცემია უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი კონფლიქტის გამყოფი ხაზის მიმდებარე ზუგდიდისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტების სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობაში. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით პრაქტიკულად თანაბარი იყო - საშუალოდ 151 რესპონდენტი - ყოველ

მუნიციპალიტეტში, გარდა ქუთაისისა, სადაც 180 რესპონდენტი იყო წარმოდგენილი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში უმუშევარ რესპონდენტთა წილი 46.3%-ს შეადგენდა, ხოლო ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ეს მაჩვენებელი 36.4% იყო. სხვა მუნიციპალიტეტებში უმუშევრობის მაჩვენებლები შემდეგნაირად გადანაწილდა: ხონი - 29.1%, სენაკი - 28.4%, წყალტუბო - 23% და ქუთაისი - 15%.

ეს მნიშვნელოვანი სხვაობა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, თუ როგორ აფერხებს კონფლიქტურ ზონებთან სიახლოვე წალენჯიხასა და ზუგდიდში ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და სამუშაო ადგილების ხელმისაწვდომობას, რაც კიდევ უფრო ამწვავებს უმუშევრობის მაღალ მაჩვენებლებს. ამ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა ისეთი უნიკალური გამოწვევების წინაშეა, როგორებიცაა ბაზრებზე შეზღუდული წვდომა და დარღვეული ეკონომიკური ქსელები, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მათ რთულ მდგომარეობას. ამის საპირისპიროდ, ქუთაისის დაბალი უმუშევრობის მაჩვენებელი - 15% - უფრო სტაბილური ეკონომიკური გარემოს არსებობას ადასტურებს, რაც, სავარაუდოდ, უკეთესი ინფრასტრუქტურითა და კონფლიქტთან დაკავშირებული ნაკლები შეფერხებებითაა განპირობებული. ხონის, სენაკისა და წყალტუბოს უმუშევრობის მაჩვენებლები, რომლებიც 23%-დან 29.1%-მდე მერყეობს, ეკონომიკური სტაბილურობის ზომიერ დონეს ასახავს, თუმცა ხსენებული მუნიციპალიტეტები მაინც მნიშვნელოვანი დასაქმების გამოწვევების წინაშე დგანან ქუთაისთან შედარებით. წალენჯიხისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების მონაცემები ხაზს უსვამს მიზნობრივი ეკონომიკური ჩარევების საჭიროებას კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარე მუნიციპალიტეტებში. აღნიშნულ ლოკაციებში პროფესიული მომზადების, ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერისა და კონფლიქტის მიმართ მგრძნობიარე ეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით დასაქმების შესაძლებლობების გაძლიერება არსებითია ადამიანური უსაფრთხოების გარემოს გასაუმჯობესებლად და გრძელვადიანი სტაბილურობის ხელშესაწყობად.

ნაწილი II: კვლევის ძირითადი შედეგები

2.1. მოსახლეობის უსაფრთხოების შეგრძნების დონე

უსაფრთხოება ნებისმიერი მოსახლეობის კეთილდღეობის ის ფუნდამენტური ასპექტია, რომელიც გადამწყვეტ გავლენას ახდენს ყოველდღიურ ცხოვრებასა და საზოგადოების სტაბილურობაზე. თუმცა, კვლევა მოქალაქეებს შორის უსაფრთხოების აღქმის მრავალფეროვნებას აჩვენებს.

გამოკითხვაში გამოყენებული იყო 5-ქულიანი სკალა მოსახლეობის მიერ უსაფრთხოების აღქმის შესაფასებლად, სადაც **1 ნიშნავს ძალიან სუსტ უსაფრთხოებას, ხოლო 5 - სრულყოფილ უსაფრთხოებას.** შედეგების თანახმად, რესპონდენტთა მნიშვნელოვანმა უმრავლესობამ ნეიტრალური შუალედური წერტილი აირჩია, შეაფასა რა საკუთარი უსაფრთხოების შეგრძნება 3 ქულით (39.8%). გარდა ამისა, რესპონდენტთა 7%-მა და 12.9%-მა, შესაბამისად, ქულა 1 და 2 აირჩია, რაც დაბალი უსაფრთხოების მაჩვენებელია, მაშინ როცა 27.6%-მა საკუთარი უსაფრთხოება ოდნავ მაღლა, 4 ქულით შეაფასა, ხოლო 12.7%-მა 5 ქულა აირჩია შესაფასებლად (იხილეთ დიაგრამა №1).

მოსახლეობის მიერ უსაფრთხოების და დაცულობის აღქმის დონე



(დიაგრამა №1)

პასუხების გენდერულ ჭრილში განხილვისას ჩანს, რომ როგორც მამაკაცებმა (40.1%), ისე ქალებმა (39.3%) თავიანთი უსაფრთხოება, ძირითადად, 3 ქულით შეაფასეს. თუმცა, მნიშვნელოვანი გენდერული სხვაობა იკვეთება სკალის ქვედა ნაწილში: ქალების 18.5%-თან შედარებით, მამაკაცების 22.7%-მა აღნიშნა, რომ თავს ყველაზე ნაკლებად უსაფრთხოდ გრძნობს (აირჩია ქულა 1-2). უსაფრთხოების აღქმაში არსებული გენდერული სხვაობა, სადაც, ქალებთან შედარებით, მამაკაცების უფრო მაღალი პროცენტი გრძნობს თავს საფრთხეში, უსაფრთხოების სუბიექტურ შეგრძნებაზე გენდერის ნიუანსირებულ გავლენაზე მიუთითებს. ეს სხვაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მამაკაცებს შორის არსებული უმუშევრობის უფრო მაღალი მაჩვენებლის ფონზე, რამაც შეიძლება არასტაბილურობისა და მოწყვლადობის შეგრძნება გააძლიეროს. მამაკაცები, რომლებიც შესწავლილ მუნიციპალიტეტებში უმუშევრობის უფრო მაღალ მაჩვენებლებით არიან წარმოდგენილნი, შესაძლოა, მეტად აღიქვამდნენ ეკონომიკურ არასტაბილურობას და სოციალურ მოწყვლადობას, რაც ხელს უწყობს მათი გაძლიერებული არასტაბილურობის შეგრძნებას ქალებთან შედარებით.

ტერიტორიულ-მუნიციპალური კუთვნილების მიხედვით განხორციელებული ანალიზი მნიშვნელოვან განსხვავებებს ავლენს უსაფრთხოების აღქმის დონეებში (იხილეთ ცხრილი №1):

- **წალენჯიხის მუნიციპალიტეტში** (სოფლები ფახულანი, წყოუში, კონფლიქტის გამყოფ ხაზთან ახლოს) არასტაბილურობის ყველაზე მაღალი შეგრძნება დაფიქსირდა, რესპონდენტთა 37.1%-მა აირჩია ძალიან დაბალი დონე (ქულა 1-2);
- ამას მოჰყვება **სენაკი** იმ რესპონდენტთა 18.5%-ით, რომლებიც თავს არასტაბილურად გრძნობენ, ხოლო **წყალტუბოსა და ხონში** თითქმის იდენტური მაჩვენებლები დაფიქსირდა - 17,2%-17% (ქულა 1-2);
- **ქუთაისისა და ზუგდიდის** მუნიციპალიტეტებში ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი იყო იმ რესპონდენტებისა, რომლებმაც არასტაბილურობის შეგრძნებას გაუსვეს ხაზი, შესაბამისად, მხოლოდ 15% და 15.7% აირჩია - 1-2 ქულა უსაფრთხოების სკალაზე.

ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ კონფლიქტურ ზონებთან სიახლოვე მნიშვნელოვნად განაპირობებს არასტაბილურობის შეგრძნებას **წალენჯიხის მუნიციპალიტეტში.** თუმცა, ზუგ-

დიდის მსგავსი შედარებით დიდი მუნიციპალიტეტი, რომლის ცალკეული სოფლები, ასევე ადმინისტრაციული საზღვრის ხაზის (ABL) სიახლოვეს მდებარეობს, სარგებლობს უკეთესი ინფრასტრუქტურითა და რესურსებით, რაც მოსახლეობაში უსაფრთხოების უფრო მაღალ განცდას იწვევს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტულად კონფლიქტის გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრებმა მოსახლეობამ საკუთარი უსაფრთხოების დონე, ძირითადად, 1-2 (35.7%) და 3 (35.8%) ქულით შეაფასა, რაც ამ ტერიტორიებზე უსაფრთხოების საგრძნობლად დაბალ შეგრძნებაზე მიუთითებს.

აღსანიშნავია საგრძნობი **კორელაცია დასაქმების სტატუსსა და უსაფრთხოების შეგრძნებას შორის**. იმ რესპონდენტთა უმრავლესობა - 73%, ვინც თავიანთი უსაფრთხოების დონე 5 ქულით შეაფასა სკალაზე, დასაქმებულია. მაგალითად, 120 რესპონდენტიდან, რომლებმაც „5 ქულა“ მონიშნეს, 87 პირი დასაქმებულია.

	უსაფრთხოების განცდა მუნიციპალიტეტების მიხედვით						
დაბალი	**მუნიციპალიტეტები**	**1**	**2**	**3**	**4**	**5**	**მაღალი**
	წალენჯიხა	**19,9%**	**17,2%**	**41,7%**	**13,25%**	**7,9%**	
	ზუგდიდი	**2,6%**	**13,1%**	**39,2%**	**31,4%**	**13,7%**	
	სენაკი	**4,6%**	**13,9%**	**46%**	**27,8%**	**7,3%**	
	ხონი	**7,3%**	**9,9%**	**44,4%**	**29,8%**	**8,6%**	
	წყალტუბო	**4,4%**	**12.58%**	**25,8%**	**36,5%**	**20,7%**	
	ქუთაისი	**3,9%**	**11,1%**	**41,6%**	**26,7%**	**16,7%**	

ცხრილი №1

2.2. უსაფრთხოების განსაზღვრა მოსახლეობის თვალთახედვით

რაოდენობრივი კვლევით გამოიკვეთა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა უსაფრთხოებას რამდენიმე ძირითადი პრიზმის მეშვეობით აღიქვამს: ეკონომიკური სტაბილურობა (38.6%), ომის საფრთხის არარსებობა და ქვეყნის შიგნით სტაბილურობა (30.2%) და ოჯახის კეთილდღეობა (28.9%), განათლებასა და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა, ძირითად საჭიროებებზე ხელმისაწვდომობა, როგორიცაა საკვები და საცხოვრებელი (25%) და პოლიტიკური სტაბილურობა და კარგი მმართველობა (23.3%). ნაკლებად ხშირად ახსენეს შემდეგი ასპექტები: სოციალური სამართლიანობა და თანაბარი უფლებები (14.9%), ფიზიკური ძალადობის ან ასეთი ძალადობის საფრთხის არარსებობა (14.6%), ემოციური სტაბილურობა (12.2%) და ეკოლოგიური მდგრადობა (11.1%). ეს მონაცემები ხაზს უსვამს, თუ რას მიიჩნევს მოსახლეობა მნიშვნელოვნად თავისი უსაფრთხოების შეგრძნებისთვის (იხილეთ დიაგრამა №2).



(დიაგრამა №2)

უსაფრთხოების ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტად **ეკონომიკური სტაბილურობაა (38.6%)** წარმოჩენილი. სტაბილური დასაქმება და შემოსავალი არსებითი ფაქტორებია საბაზისო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. რესპონდენტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეკონომიკური სტაბილურობა მათი საერთო უსაფრთხოების შეგრძნების საფუძველია. ამ მოსაზრებას თვისებრივი მონაცემებიც ამყარებს, როგორც ეს ფოკუს-ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილემ გამოხატა ინტერვიუს დროს: ***„უსაფრთხოების მაღალი ხარისხი ჩემთვის ნიშნავს ისეთ გარემოს, სადაც დასაქმებული ვარ, ურთიერთობები ჯანსაღია, უზრუნველყოფილნი ვართ საკვებით და გარემო ფაქტორთა ზემოქმედება ნაკლებად გვაფრთხობს. ჩემი აზრით, სრულიად უსაფრთხო გარემო არის გარემო, სადაც უახლოეს მომავალში სამსახურის დაკარგვის საშიშროება არ არსებობს და არც რაიმე ეკონომიკური კრიზისი იმოქმედებს თქვენზე და თქვენს ოჯახზე. თუმცა, ამ მხრივ მყარი გარანტიები არ არსებობს.“*** - თ. ჩ., 49 წლის, მასწავლებელი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი.

ომის საფრთხის არარსებობა და ქვეყნის შიგნით სტაბილურობა (30.2%) მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. მიმდინარე რეგიონული კონფლიქტები და გეოპოლიტიკური გაურკვევლობები (რუსეთის აგრესია უკრაინაში და დაძაბულობა ყარაბაღში, აზერბაიჯანში) მნიშვნელოვნად აღვივებს შიშის შეგრძნებას მოსახლეობაში. პოლიტიკური ლიდერების მხრიდან „კონფლიქტის რისკებზე“ და საქართველოში „მეორე ფრონტის“ გახსნის ალბათობაზე ხშირი აპელირება კიდევ უფრო აძლიერებს შიშს და მღელვარებას, მით უფრო, როცა ქვეყანას რთულ გეოპოლიტიკურ ლანდშაფტში უწევს ლავირება. მედიის მიერ რეგიონული არასტაბილურობისა და პოლიტიკური დაძაბულობის საკითხთა მუდმივი გაშუქებაც ხელს უწყობს მოსახლეობაში პოტენციური საფრთხეების გაცნობიერებას, რაც ზრდის არასტაბილურობის შეგრძნებას. გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების თანახმად, ეს საკითხი ქალებს (33.7%) უფრო მეტად აწუხებთ, ვიდრე მამაკაცებს (22.4%). თვისებრივი მონაცემებიც ადასტურებს მოსახლეობაში არსებულ მღელვარებას: ***„უკრაინაში ომმა***

საბოლოოდ დაარღვია ჩვენი სიმშვიდე, თითქოს ეს არ იყო საკმარისი. ახლა ისრაელის ომიც დაემატა, მთელი მსოფლიო თითქოს ნაღმზე ზის. ყველგან ქაოსია. არავინ იცის, ხვალ სად მოხდება კონფლიქტი. მეშინია, ძალიან მეშინია, რისი იმედი უნდა გვქონდეს! სიმშვიდე დავკარგე." - მ. დ., 62 წლის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი.

„მე უკვე გამოვიარე ერთი ომი [აფხაზეთში], მაგრამ მაშინ სხვა შიში მქონდა. ომი უკვე მიმდინარეობდა და გადარჩენას ვცდილობდი. ახლა სხვა შიში მაქვს, ახალი ომის დაწყების შიში. ამდენი წლის შემდეგ ვერ წარმომედგინა, თუ ეს საფრთხე კვლავ იარსებებდა. ახლა ომი არ არის, მაგრამ მეშინია ომის. ხედავთ, რა ხდება მსოფლიოში, უზარმაზარი ქვეყნები ვერ ახერხებენ ომის თავიდან აცილებას, ჩვენ რისი იმედი უნდა გვქონდეს." - თ. ს., 68 წლის, იძულებით გადაადგილებული პირი აფხაზეთიდან, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი.

პოლიტიკური სტაბილურობა და კარგი მმართველობა (23.3%), როგორც მოსახლეობისთვის უსაფრთხოების განცდის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა, ხაზგასმულია რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ. ქვეყანაში არსებული დაძაბული პოლიტიკური გარემო და დამაპირისპირებელი რიტორიკა და განცხადებები არასტაბილურობის განცდას და შიშებს საგრძნობლად აძლიერებს. გარდა ამისა, მაღალი პოლიტიკური პოლარიზაცია და მოახლოებული არჩევნები მნიშვნელოვნად ზრდის მოსახლეობის მღელვარებას პოლიტიკურ სტაბილურობასთან დაკავშირებით: *„საზოგადოებაში არასდროს ყოფილა ასეთი გაყოფა. ზოგჯერ მეშინია სამსახურში აზრის გამოთქმის. თავს ვარიდებ პოლიტიკაზე საუბარს ახლობლებთან იმის შიშით, რომ შეიძლება პოლიტიკურად საპირისპირო მხარეს აღმოვჩნდე. ამ დაპირისპირებამ ხალხი უფრო აგრესიული და დაძაბული გახადა და პოლიტიკოსებისთვის კი ეს სიტუაცია შეიძლება სასარგებლო იყოს. ამ მდგომარეობიდან გამოსავალი დიდად არ ჩანს, რაც აფერხებს ჩვენს პროგრესს და აძლიერებს ჩვენს მოწყვლადობას."* - თ. დ., 49 წლის, სახელმწიფო სამსახურში დასაქმებული, წყალტუბო.

ოჯახის კეთილდღეობა (28.9%) და **განათლებასა და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა (28.3%)**: ოჯახის კეთილდღეობა, რომელიც ეკონომიკურ სტაბილურობას, ჯანმრთელობასა და განათლებას მოიცავს, მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთო უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაში. გამოკითხვის მონაცემებით, რესპონდენტთა დიდი ნაწილი განსაკუთრებულ შფოთვას გამოხატავს, ფინანსური სტაბილურობისა და ხარისხიან განათლებასა და ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის კუთხით.

„ჩემს ოჯახს მძიმე ფინანსური მდგომარეობა აქვს. მე სეზონურად ვმუშაობ ბოსტნეულზე, ხოლო ჩემი მეუღლე იძულებულია, დღიური ანაზღაურებით იშრომოს. ხვალინდელი შემოსავლის გაურკვევლობა გვაღელვებს. დღიდან დღემდე გაგვაქვს თავი, არ ვიცით, ხვალ საკმარისი გვექნება თუ არა ჩვენი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად." - ფ. თ., 38 წლის, მრავალშვილიანი დედა, სოციალურად დაუცველი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი.

„საქართველო განათლების ხარისხის მიხედვით ბოლო ხუთეულშია, რა ხარისხზეა ლაპარაკი? რეპეტიტორებთან მომზადების გარეშე უნივერსიტეტში ვერ მოხვდები. ნაკლებადაა გაცვლითი პროგრამები, რომ სადმე წახვიდე და გაიცნო იმ ქვეყნების გამოცდილება, სადაც განათლების მაღალი სტანდარტებია." - მ. დ., 20 წლის, სტუდენტი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი.

თვისებრივი მონაცემებით განსაკუთრებით იკვეთება გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება ახალგაზრდა პროფესიონალების **თავიანთ სფეროში დასაქმების შეუძლებლობას,** სამუშაო ადგილების ნაკლებობის ან დამსაქმებლების მიერ ღირსეული ხელფასის გადახდის სურვილის არქონის გამო - *„პროფესიით ფსიქოლოგი ვარ, ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია. სრულიად განსხვავებული გეგმები და მიზნები მქონდა. ინსტიტუტი დავამთავრე და მერე რა... ახლა ბაზარში ვმუშაობ და სასოწარკვეთით ველოდები, რომ იქნებ ოდესმე*

სადმე დასჭირდეთ ჩემი პროფესია. ფსიქოლოგების ისეთი საჭიროება არსებობს, მაგრამ სადაც მივედი, ფული არ აქვთ ხელფასის გადასახდელად." - თ. კ , 27 წლის, ქალი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი.

გარდა ამისა, სტუდენტებს ხშირად უჭირთ საცხოვრებელი ხარჯების დაფარვა. ეს, სწავლის პარალელურად, ღამით მუშაობას აიძულებთ, რაც რიგ შემთხვევაში მათი ჯანმრთელობის გაუარესებას და სწავლის შეწყვეტას იწვევს - *„ძალიან კარგად ვსწავლობდი, ერთი წელი ვმეცადინეობდი რეპეტიტორთან. 50%-იანი გრანტი მივიღე, მაგრამ შემდეგ ძალიან გამიჭირდა. ბინის ქირა იმდენად გაძვირდა, რომ მშობლებს აღარ შეეძლოთ ამდენი ხარჯის დაფარვა, იძულებული გავხდი, ღამის ცვლაში მუშაობა დამეწყო. დიდხანს ვერ გავძელი, ჯანმრთელობამ შემიშალა ხელი, ოპერაცია დამჭირდა. საბოლოოდ, სწავლის შეწყვეტა მომიწია. არ ვიცი, რამდენ ხანს მექნება შესვენება. ეს ყველაზე მძიმეა ჩემთვის. ინსტიტუტებს არ აქვთ საერთო საცხოვრებლები და ეს ბევრ სტუდენტს უქმნის პრობლემას."* - დ. ნ., 21 წლის, ახალგაზრდა კაცი, სტუდენტი, სენაკის მუნიციპალიტეტი.

2.3. ეკონომიკური უსაფრთხოება

ეკონომიკური უსაფრთხოება ადამიანური უსაფრთხოების ფუნდამენტური კომპონენტია, რომელიც აერთიანებს ინდივიდებისა და ოჯახების უნარს, დააკმაყოფილონ თავიანთი ძირითადი საჭიროებები და ამასთან, უზრუნველყონ ფინანსური სტაბილურობა და ეკონომიკური წინსვლის შესაძლებლობები. წინამდებარე თავი იკვლევს მოსახლეობის ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვან ასპექტებს, მათ შორის, იმას, თუ როგორ აფასებს მოსახლეობა თავის ეკონომიკურ მდგომარეობას, შემოსავლის ძირითად წყაროებს და ეკონომიკური სტაბილურობის მთავარ საფრთხეებს. მასში ასევე განიხილულია ძირითადი წინაპირობები, რაც მნიშვნელოვანია ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და შესწავლილია ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო პროგრამების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე და ამ პროგრამების შესახებ ინფორმაციის მთავარი წყაროები.

2.3.1. ეკონომიკური უსაფრთხოების დონის შეფასება

რაოდენობრივ კვლევაში ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასება 5-ქულიანი სკალის გამოყენებით განხორციელდა, სადაც 1 ნიშნავს ძალიან ცუდს და 5 - ძალიან კარგს. რესპონდენტთა უმრავლესობა (49%) თავის ეკონომიკურ უსაფრთხოებას 3 ქულით აფასებს, რაც მიუთითებს, რომ თითქმის ნახევარი თავის ეკონომიკურ მდგომარეობას აღიქვამს როგორც საშუალოს, არც განსაკუთრებით უსაფრთხოს და არც განსაკუთრებით სახიფათოს (იხილეთ დიაგრამა №3).

რესპონდენტთა 22,4% პროცენტი თვლის, რომ მათი ეკონომიკური უსაფრთხოება ძალიან დაბალია (ანუ 5.9% მას 1 ქულით და 16.5% - 2 ქულით აფასებს), რაც ჯამში, მოსახლეობის წინაშე არსებულ მნიშვნელოვან ფინანსურ გამოწვევებზე და ეკონომიკურ მოწყვლადობაზე მიუთითებს.

ეკონომიკური უსაფრთხოების სკალის უფრო მაღალ ნაწილს (4-5 ქულას), რესპონდენტთა 28.6% უსვამს ხაზს (4 ქულა - 23%, ხოლო 5 ქულა - 5.6%), რაც მიუთითებს, რომ ეკონომიკური კეთილდღეობის მაღალ დონეს განიცდის რესპონდენტთა მესამედზე ნაკლები, ანუ მხოლოდ მცირე ნაწილი.

ეკონომიკური უსაფრთხოების დონის შეფასება



დიაგრამა №3

2.3.2. მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყაროები

შემოსავლის ძირითადი წყაროებისა და ეკონომიკური მოწყვლადობის ანალიზი: მონაცემები აჩვენებს, რომ რესპონდენტებისა და მათი ოჯახების 41.3%-ისთვის შემოსავლის ძირითად წყაროს ხელფასი წარმოადგენს. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ისინი, ვინც შემოსავლის მთავარ წყაროდ ხელფასს ასახელებენ, ისეთ დამატებით წყაროებზეც არიან დამოკიდებულნი, როგორიცაა პენსიები, ნათესავების დახმარება, გზავნილები საზღვარგარეთიდან ან დევნილთა შემწეობები. ეს მიუთითებს, რომ არსებული ხელფასი ხშირად არ არის საკმარისი ოჯახების საარსებო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და აუცილებელს ხდის დამატებითი ფულადი რესურსების მობილიზებას.

შემოსავლისა და ხელფასების უკმარისობას და არაადეკვატურობას, რაც ზრდის ოჯახებისთვის დამატებითი ფინანსური საშუალებების მობილიზების საჭიროებას, ადასტურებს ცალკეული რესპონდენტის გამოცდილებაც: ***„მე საჯარო სამსახურში ვმუშაობ, ჩემი ხელფასი 700 ლარია. ჩემი მეუღლე 600 ლარს იღებს. ეს არის ჩემი ოჯახის მთლიანი შემოსავალი. მყავს სამი შვილი. როგორ უნდა იცხოვრო ამ შემოსავლით, როგორ უნდა შეინახო ოჯახი? ძლივს გავდივართ თვიდან თვემდე. ჩვენ ვართ უღარიბესი ინტელიგენცია.“*** - ლ. პ., 49 წლის, დასაქმებული სახელმწიფო სამსახურში, სენაკის მუნიციპალიტეტი.

უთანასწორობა ადგილობრივ მოსახლეობასა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის: კვლევის მონაცემები ნათლად მიუთითებს შემოსავლის წყაროებში არსებულ სხვაობაზე ადგილობრივ მოსახლეობასა და დევნილთა შორის. ხელფასის მიმღებთა უმრავლესობა ადგილობრივი მოსახლეობაა (52.1%), მაშინ როცა ხელფასზე დამოკიდებულ დევნილ პირთა წილი მნიშვნელოვნად დაბალია (28%). სანაცვლოდ, სოციალური დახმარების მიმღებთა (სიღარიბისთვის) უფრო დიდ ნაწილს დევნილები შეადგენენ, მაგ.: სოციალური დახმარების მიმღებთა 16.8% დევნილია, ხოლო 10% - ადგილობრივი მოსახლეობა. ეს სოციალურ შემწეობებზე იძულებით გადაადგილებულ პირთა მეტ დამოკიდებულებას ასახავს, რაც მკაფიოდ მიუთითებს ადგილობრივ შრომის ბაზარზე მათ სუსტ ინტეგრაციაზე. იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობა (57%) ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მათი შემოსავლის მთავარი წყარო იძულებით გადაადგილებულ პირთა შემწეობაა, რომელიც 45 ლარს შეადგენს, რაც კიდევ უფრო მძაფრად გამოკვეთს მათ ეკონომიკურ სირთულეებს. შემწეობაზე მსგავსი დამოკიდებულება ბუნებრივად ზრდის დევნილთა მოწყვლადობას და მათი ინსტრუმენტალიზაციის რისკს.

გარდა ამისა, დევნილთა მხოლოდ 18% იღებს შემოსავალს საოჯახო მეურნეობიდან, ადგილობრივი მოსახლეობის 27.4%-თან შედარებით. ეს მიუთითებს, რომ დევნილები ნაკლებად ფლობენ მიწას და არასაკმარისად მონაწილეობენ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, რაც მრავალი ოჯახისთვის შემოსავლისა და სასურსათო უსაფრთხოების მნიშვნელოვანი წყაროა. გარდა ამისა, ადგილობრივები უფრო მეტად არიან ჩართულნი ბიზნეს საქმიანობაში (15.6%) დევნილებთან შედარებით (10.7%), რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ უკანასკნელთა წინაშე ეკონომიკური ინტეგრაციის არსებულ გამოწვევებს.

2.3.3. ეკონომიკური უსაფრთხოების მთავარი საფრთხეები

მოსახლეობისთვის ეკონომიკური უსაფრთხოების უდიდეს გამოწვევას უმუშევრობა წარმოადგენს, რომელიც რესპონდენტთა 43.7%-მა დაასახელა. მას მოსდევს დასაქმების დაბალი პერსპექტივები და ინფლაცია, რაც რესპონდენტთა 40%-მა გამოყო, როგორც მნიშვნელოვანი პრობლემა. სხვა საფრთხეებს შორის ხაზი გაესვა: სიღარიბეს (37.8%), დაბალ ხელფასებს (34.6%), მაღალპროცენტიან სესხებსა და კრედიტებს (26.3%), სამსახურის დაკარგვის შიშს (19%), საზღვარგარეთ შრომითი მიგრაციის ზრდას (16.7%) და ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო პროგრამების სიმცირეს ან არარსებობას (12.2%) - (იხილეთ დიაგრამა №4).



დიაგრამა №4

თვისებრივი მონაცემების ანალიზი მუნიციპალიტეტების მიხედვით

რაოდენობრივი მონაცემების მსგავსად, თვისებრივი მონაცემებიც მკაფიოდ ავლენს უმუშევრობით, დაბალი ხელფასებითა და დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობებით გამოწვეული ეკონომიკური უსაფრთხოების დაბალ ხარისხს. რესპონდენტები აცხადებენ, რომ არასაკმარისი შემოსავლის გამო ვერ იკმაყოფილებენ ძირითად საჭიროებებს, რაც სიღარიბეს, მიგრაციას და სამუშაო ძალის გადინებას იწვევს და დემოგრაფიულ სტაბილურობას უქმნის საფრთხეს. **ბევრი ადამიანი, მათ შორის ახალგაზრდები, საზღვარგარეთ სამუშაოდ**

მიდიან. ეს ხშირად იწვევს ოჯახების დაშლას, ბავშვებისა და ოჯახის სხვა წევრების დატოვებას. მიგრაციის ხსენებული ტენდენცია ადგილობრივ ადამიანურ რესურსებს ამცირებს და დამოკიდებულებისა და მოწყვლადობის ციკლს წარმოშობს. **ინფლაცია, მაღალპროცენტიანი სესხები და არასტაბილური ეკონომიკური პირობები** ამ გამოწვევებს კიდევ უფრო აუარესებს და მოსახლეობას ურთულებს მომავლის დაგეგმვას.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი: წალენჯიხის თვისებრივი მონაცემები აჩვენებს, რომ ეკონომიკური სტაბილურობა საგრძნობლად დარღვეულია **სამუშაო ადგილების ნაკლებობისა და დაბალი ხელფასების გამო**. რესპონდენტები აცხადებენ, რომ არასაკმარისი შემოსავლის გამო ვერ იკმაყოფილებენ ძირითად საჭიროებებს. უმუშევრობა იწვევს სიღარიბეს, მიგრაციას და სამუშაო ძალის გადინებას, რაც, თავის მხრივ, საფრთხეს უქმნის რეგიონის დემოგრაფიულ სტაბილურობას. **მიგრაციის გავრცელებული პრობლემა** უმუშევრობითაა გამოწვეული, მრავალი მამაკაცი და ქალი იძულებულია, დატოვოს სოფელი საზღვარგარეთ სამუშაოდ წასასვლელად, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს ბავშვების ერთ-ერთი მშობლის ან მშობლების გარეშე დარჩენას. განსაკუთრებით მწვავედ დგას ახალგაზრდების გადინების პრობლემა.

ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, ***„ახალგაზრდები საზღვარგარეთ გაედინებიან, სოფელი კი ცარიელდება. ახალგაზრდები აქ ვერ ხედავენ განვითარების პერსპექტივას და, შესაბამისად, ვერც ქვეყანა ვითარდება.“*** - შ. შ., ქალი, 48 წლის, ფახულანი, ბაღის მენეჯერი, მეწარმე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი: მიგრაციის მასშტაბი ასევე საგრძნობია ზუგდიდში, რაც ძირითადი საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის აუცილებლობითაა ნაკარნახევი. რესპონდენტები ხაზს უსვამენ შრომით მიგრაციასთან დაკავშირებულ რისკებსა და გაურკვევლობას, თუმცა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა მათ მაინც ამის გაკეთებას აიძულებთ - ***„თვე არ გავა, რომ რომელიმე მეზობელი არ წავიდეს სხვა ქვეყანაში სამუშაოდ. ისინი ლუკმა-პურის საშოვნელად, ოჯახების დასახმარებლად მიდიან ემიგრაციაში, მიუხედავად არსებული რისკებისა.“*** - ი. ზ., ქალი, 39 წლის, მასწავლებელი, დიდი ნეძი.

ეკონომიკური უსაფრთხოების არსებით გამოწვევებს უმუშევრობა და დაბალი ხელფასები წარმოადგენს, ბევრი რესპონდენტი ხაზს უსვამს დასაქმების ნაკლებობასა და შეზღუდულ სასოფლო-სამეურნეო შემოსავალზე დამოკიდებულებას - ***„ჩვენი რეგიონის მთავარი შემოსავალი მხოლოდ დაფნა და თხილია, და ეს დაფნა და თხილი უკვე აღარ არის საკმარისი. ფიზიკური სამუშაოები არ იშოვება, დასაქმების სხვა საშუალებებიც ნაკლებად ხელმისაწვდომია, რაც არ უნდა განათლებული იყოს ადამიანი.“*** - ნ. ტ., ქალი, 44 წლის, საჯარო მოხელე, სოფელი ცაიში.

სენაკის მუნიციპალიტეტი: სენაკში ეკონომიკური არასტაბილურობა ფართოდ გავრცელებული პრობლემაა, რასაც მაღალი უმუშევრობა და დაბალი სოციალური და ეკონომიკური ფონი ამწვავებს. რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი ეკონომიკური უსაფრთხოების **მთავარ წინაღობად სიღარიბეს ასახელებს**, ასევე გამოიკვეთა **საზღვარგარეთ მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი**, რაც კიდევ უფრო ასუსტებს ეკონომიკურ სტაბილურობას - ***„მინდა ვიმუშაო, სანამ შემიძლია, სანამ ახალგაზრდა ვარ და ჯანმრთელობა მაძლევს საშუალებას. ჯერ ბავშვები გავზარდე, როცა გაიზარდნენ და გადავწყვიტე მემუშავა, ვერაფერი ვიშოვე. მრცხვენია ამის თქმა, მაგრამ სამუშაო არ არის. სენაკში ერთი ბაზარია და რამდენი ადამიანი უნდა დასაქმდეს? სუპერმარკეტებში ზემოდან დამყურებდნენ ასაკის გამო. სად ვიმუშაო მეტი?“*** - ე. ფ., 36 წლის, ქალი, დევნილი, უმუშევარი.

მიგრაცია განსაკუთრებით მწვავე პრობლემაა, რომელსაც ხშირად განიხილავენ ფოკუს-ჯგუფთა დისკუსიებში. რესპონდენტები შეშფოთებას გამოხატავენ ევროპის ქვეყნებში

ახალგაზრდების, მოსახლეობის ძლიერი და ინტელექტუალური ნაწილის გადინების გამო, რაც ადგილობრივ ადამიანურ რესურსებს ამცირებს. ეს გადინება არა მხოლოდ ადგილობრივ ეკონომიკაზე მოქმედებს უარყოფითად, არამედ დამოკიდებულებისა და მოწყვლადობის ციკლსაც წარმოშობს. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ **უფრო მეტი ინვესტიცია ჩადოს ემიგრანტი ქალებისთვის სპეციალურად შექმნილ ეკონომიკურ პროგრამებში, რათა ხელი შეუწყოს მათ დაბრუნებას და მხარი დაუჭიროს ამ უკანასკნელთა რეინტეგრაციას ადგილობრივ ეკონომიკაში** - *„ახალგაზრდა ბიჭები, ძლიერები, ინტელექტუალები ტოვებენ ქვეყანას და თავიანთ რესურსებს სხვაგან ხარჯავენ. სახელმწიფომ მეტი უნდა გადაიხადოს და ჩადოს ამ ახალგაზრდებში... უნდა არსებობდეს ეკონომიკური პროგრამები იმიგრანტი ქალებისთვის. შედეგად, ბევრი ქალი დარჩება ადგილზე. დაბრუნებულთათვის დასაქმების შანსები მინიმალურია. თუ მათ მხარდაჭერა ექნებათ, ეს შეაჩერებს მიგრაციას, თუნდაც ცოტათი და ზოგი ოჯახის გადარჩენასაც შევძლებთ.“* - ტ. ფ., 53 წლის, მამაკაცი, საჯარო სამსახურში დასაქმებული.

დისკუსიებმა ასევე გამოავლინა **ეკონომიკური პროგრამების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა მცირეწლოვანი ბავშვების დედებისთვის, მოქნილი სამუშაო გრაფიკისა და სახლიდან მუშაობის შესაძლებლობების შეთავაზებით**. ეს მიდგომა მნიშვნელოვნად დაეხმარება დედებს სამუშაოსა და ოჯახური პასუხისმგებლობების უფრო ეფექტიანად დაბალანსებაში - *„მინდა სამსახური, მაგრამ ის ფაქტი, რომ საბავშვო ბაღები მხოლოდ ექვს საათამდე მუშაობენ, ჩემთვის პრობლემაა. კერძო ბაღის თანხას ვერ გადავიხდი, ამიტომ იძულებული ვარ, მუშაობაზე უარი ვთქვა.“* - მ. პ., 24 წლის, ქალი, სამი შვილის დედა.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი: წყალტუბოს თვისებრივი მონაცემები **ინფლაციასთან, მაღალპროცენტიან სესხებთან და მიგრაციასთან დაკავშირებულ** პრობლემებს გამოკვეთს. რესპონდენტებს არასტაბილური ეკონომიკური გარემო და ფასების ცვალებადობით გამოწვეული მომავლის დაგეგმვის სირთულეები აშფოთებთ - *„ინფლაციის დროს ვერ განსაზღვრავ რისკებს, ვერ გათვლი შედეგებს და ვერ გეგმავ მომავალს. ინფლაცია ყველაზე მეტად საშუალო კლასს ურტყამს. ამიტომაც ცვალებადი ფასები ყველაზე დიდი საფრთხეა.“* - მ. ბ., 62 წლის, ექსპერტი, საკრებულოს წევრი. სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები განსაკუთრებით შემაშფოთებელია იმ რესპონდენტებისთვის, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ საბანკო პოლიტიკა ექსპლუატაციურია და მათ ფინანსურ პრობლემებს ამწვავებს.

ქუთაისის მუნიციპალიტეტი: ქუთაისში რესპონდენტები თავიანთ ეკონომიკურ უსაფრთხოებას საშუალო დონით განსაზღვრავენ. მათ საგრძნობლად აწუხებთ დაბალი ხელფასები და საარსებო მინიმუმსა და დამსაქმებლების მიერ შეთავაზებულ მინიმალურ ხელფასს შორის სხვაობა. ერთმა რესპონდენტმა ხაზი გაუსვა ამჟამინდელი დასაქმების შეთავაზებების არაპრაქტიკულობას: *„დასაქმების სამსახურიდან იყვნენ ჩვენთან და 300 ლარზე გვთავაზობდნენ დასაქმებას. როგორ უნდა დათანხმდეს ვინმე ამ სამსახურს, თუ საარსებო მინიმუმი 250 ლარია? როცა სახლიდან გადიხარ, მინიმუმ 200 ლარი გჭირდება ხარჯებისთვის (ტრანსპორტი, საკვები), ანუ 100 ლარისთვის უნდა წახვიდე? ეს დასაქმებაა?“* - ნ. ზ., ქალი, INER Georgia-ს წევრი.

გარდა ამისა, შეშფოთება გამოითქვა სამსახურის ნაკლები სტაბილურობისა და დასაქმებაში ნეპოტიზმის მსგავსი პრობლემების შესახებ - *„თუ ამ სამსახურს დავტოვებდი, თუნდაც ჩემი ნებით, არანაირი გარანტია არ მაქვს, რომ ახალ სამსახურს ვიშოვი. სამუშაო ადგილები არ არის და სადაც არის, იქ უმეტესად წინასწარ არის განსაზღვრული, ვინ უნდა დაიქირაონ.“* – ს. ს., 28 წლის, ქალი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ქალთა უფლებების დამცველი. ფავორიტიზმისა და შეზღუდული შესაძლებლობების მსგავსი გარემო კიდევ უფრო აფერხებს მოსახლეობის ეკონომიკურ სტაბილურობას.

ხონის მუნიციპალიტეტი: ხონის მუნიციპალიტეტის მონაცემების თანახმად, ერთ-ერთ მთავარ პრობლემას შემოსავლებსა და ხარჯებს შორის შეუსაბამობა წარმოადგენს, რაც დაბალი ხელფასებითა და პენსიებით და მოუწესრიგებელი საბაზრო ეკონომიკითაა გამოწვეული. ეს სირთულეები ნათლად ჩანს მოწყვლადი მოსახლეობის მიერ გაკეთებულ შეფასებებში და ასახავს მოსახლეობის ყოველდღიურ ბრძოლას გადარჩენისთვის: ***„ხელფასი ზუსტად 3 დღე გვყოფნის"; „ოჯახში 11 ადამიანი ვართ და თვის ბოლომდე როგორ უნდა გავძლოთ."; „ჩვენთვის რთულია, მაგრამ ვინ გაგვიგებს..."; „პენსიის მიმღები ჯერ არ ვარ და სამსახური არ მაქვს. ვინ დამასაქმებს ამ ქვეყანაში? ჯანმრთელობა არ მაძლევს საშუალებას, საზღვარგარეთ წავიდე სამუშაოდ, ამიტომ ვიტანჯები და აქ ვწვალობ..."***

2.3.4. მოსახლეობის ხედვები ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის თაობაზე

როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მონაცემებში გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ზომა, რაც, რესპონდენტების აზრით, ეკონომიკური არასტაბილურობის აღმოფხვრას შეუწყობს ხელს და ხელსაყრელ გარემოს შექმნის ეკონომიკურ საქმიანობაში მოსახლეობის ჩართვისთვის.

რაოდენობრივ მონაცემებზე დაფუძნებული ხედვები

რაოდენობრივი მონაცემების თანახმად, რესპონდენტებმა ხაზი გაუსვეს რამდენიმე ძირითად მომენტს, რომლებიც ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფადაა აუცილებელი: **კრედიტების ხელმისაწვდომობა**: რესპონდენტთა 51.6%-მა აღნიშნა უფრო ხელმისაწვდომი საბანკო საკრედიტო/სასესხო პოლიტიკის საჭიროება, რაც მკაფიოდ მიანიშნებს მოსახლეობისთვის დამატებითი ფინანსური მხარდაჭერის საჭიროებას ბიზნესის დასაწყებად ან გასაფართოებლად, ხარჯების სამართავად და ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. **მცირე ბიზნესისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროგრამების გაფართოება**: რესპონდენტთა 44.8%-მა ხაზი გაუსვა მცირე ბიზნესისა და სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პროგრამების გაფართოების მნიშვნელობას. ასეთ პროგრამებს შეუძლიათ უზრუნველყონ საჭირო რესურსები და ტრენინგები სამეწარმეო საქმიანობისა და მდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის ხელშესაწყობად. **ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შემოთავაზებული ეკონომიკური გაძლიერების პროგრამები**: 30.9%-მა მიუთითა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების შეთავაზების საჭიროებაზე. ადგილობრივი ინიციატივები შეიძლება უფრო მორგებული იყოს თემის კონკრეტულ საჭიროებებზე და ეფექტურად გადაჭრას რეგიონული ეკონომიკური გამოწვევები. **ეკონომიკური გაძლიერების საგრანტო პროგრამები**: რესპონდენტთა 36.6%-მა მოითხოვა მეტი ეკონომიკური გაძლიერების საგრანტო პროგრამა. გრანტებს შეუძლიათ უზრუნველყონ საწყისი კაპიტალი ბიზნესის დასაწყებად და იმ ინოვაციური პროექტების განსახორციელებლად, რომლებიც ეკონომიკურ ზრდას უწყობს ხელს. **ინფორმაციის გავრცელება**: რესპონდენტთა 22.2%-მა არსებული ეკონომიკური პროგრამების შესახებ მეტი ინფორმაციის საჭიროება გამოჰყო. ხელმისაწვდომი რესურსებისა და შესაძლებლობების შესახებ მოსახლეობის კარგად ინფორმირებულობა გადამწყვეტია მაქსიმალური მონაწილეობისა და სარგებლის მიღებისათვის. **ბავშვის მოვლის სერვისები და სამუშაო გრაფიკის ადაპტაცია**: რესპონდენტთა 13.4%-მა ხაზი გაუსვა დასაქმებული დედებისთვის ბავშვის მოვლის სერვისების განვითარებისა და სამუშაო გრაფიკის ადაპტირების მნიშვნელობას. ეს აუცილებელია დედების შრომით პროცესში სრული მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. **საკონსულტაციო მომსახურება ბიზნეს გეგმებისთვის**: რესპონდენ-

ტთა 10.4%-მა ბენეფიციარებისთვის ბიზნეს გეგმების შედგენაში დასახმარებლად საკონსულტაციო მომსახურების გაწევის აუცილებლობა დააფიქსირა, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც ბიზნეს გამოცდილება არ აქვს, რაც გააუმჯობესებს ახალი ბიზნესებისა და სამეწარმეო საქმიანობის წარმატების მაჩვენებლებს (იხილეთ დიაგრამა №5).

როგორ ფიქრობთ, რა არის განსაკუთრებით საჭირო ეკონომიკური უსაფრთხოების მისაღწევად?



დიაგრამა №5

თვისებრივ მონაცემებზე დაფუძნებული ხედვები

თვისებრივი მონაცემები უფრო ღრმა წარმოდგენას გვიქმნის იმ პრაქტიკულ სტრატეგიებსა და მიდგომებზე, რომლებსაც მოსახლეობა საჭიროდ მიიჩნევს ეკონომიკური უსაფრთხოების წინააღმდეგ არსებული გამოწვევების და დაბრკოლებების დასაძლევად:

ტრენინგი და უნარების განვითარება: მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს სამეწარმეო უნარების განვითარებაზე ორიენტირებული უფასო სატრენინგო კურსების მნიშვნელობას, **განსაკუთრებით - ქალებისთვის**. აღნიშნული კურსები მნიშვნელოვანია ქალთა გასაძლიერებლად, საკუთარი ბიზნესის წამოსაწყებად და ეკონომიკური თვითკმარობის მისაღწევად.

ქალებისა და დედების მხარდაჭერა: მნიშვნელოვანია ეკონომიკური პროგრამების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მცირეწლოვანი ბავშვების დედებისთვის. მოქნილი სამუშაო გრაფიკი და სახლიდან მუშაობის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად დაეხმარება დედებს სამუშაოს და ოჯახური პასუხისმგებლობების უფრო ეფექტიანად დაბალანსებაში.

სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა: რესპონდენტებმა აქცენტი გააკეთეს სოფლის მეურნეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი ინვესტირების საჭიროებაზე, რაც მოიცავს როგორც ფინანსურ მხარდაჭერას, ასევე უწყვეტ მონიტორინგს; თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით დახმარების გაწევას, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია სოფლად პროდუქტიულობისა და ეკონომიკური სტაბილურობის გაუმჯობესებისთვის.

გაუმჯობესებული საბანკო პოლიტიკა: მცირე ბიზნესის და ფერმერების მხარდასაჭერად

ხელსაყრელი საბანკო და საკრედიტო პოლიტიკის შექმნა. მაღალპროცენტიანი სესხები/ კრედიტები მნიშვნელოვანი ბარიერია, სესხის უფრო ხელმისაწვდომ პირობებს კი სამეწარმეო საქმიანობის წახალისება შეუძლია.

ადგილობრივი ეკონომიკური პროგრამები: მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს სამუშაო ადგილების შექმნაზე, მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარებასა და შიდა საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ადგილობრივი ეკონომიკური პროგრამების დანერგვის და გაფართოების აუცილებლობას. ამ ნაბიჯებს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თემის ეკონომიკური გარემოს გასაუმჯობესებლად.

მიგრაციის საკითხის მოგვარება: ეკონომიკური არასტაბილურობით გამოწვეული მიგრაცია ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და რესპონდენტების მიერ რეგულარულად ხაზგასმული პრობლემაა. კვლევის მონაწილეები მიუთითებენ ადგილობრივი დასაქმების და სამუშაო ადგილების შექმნის და მოსახლეობისთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების აუცილებლობაზე, როგორც საზღვარგარეთ სამუშაოს ძიების შემცირების ერთ-ერთი წინაპირობა. სამუშაო ძალის მასშტაბური გადინება მნიშვნელოვნად ამცირებს ადგილობრივ რესურსებს და დამოკიდებულებისა და მოწყვლადობის ციკლს ქმნის.

სამთავრობო მხარდაჭერა და ინფორმაციის გავრცელება: კვლევის შედეგად გამოიკვეთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო პროგრამების გაფართოების და ამ პროგრამების შესახებ ინფორმაციის უკეთ გავრცელების საჭიროება. ბევრი რესპონდენტი არ იყო ინფორმირებული არსებული ეკონომიკური შესაძლებლობების შესახებ, რაც კომუნიკაციისა და ინფორმაციის მიწოდების ხარვეზებზე მიუთითებს.

პრაქტიკული გამოწვევები და ბარიერები: ზოგიერთმა რესპონდენტმა ის კონკრეტული გამოწვევები გაგვიზიარა, რომლებსაც თავად წააწყდა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების გამოყენების მცდელობისას. თანადაფინანსებისა და სხვა ხარჯების ფინანსური ტვირთი შეიძლება ინდივიდთა დემოტივაციის მიზეზი გახდეს და მათ ამ ინიციატივებში ჩართვაზე უარი თქვან, რაც ხაზს უსვამს უფრო მორგებული მიდგომის საჭიროებას, რომელიც პოტენციური ბენეფიციარების ფინანსურ შესაძლებლობებს გაითვალისწინებს: ***„დაფნის მოყვანა გადავწყვიტე და მივმართე შესაბამის ორგანიზაციას, რომელმაც დახმარება აღმითქვა. თუმცა, მოთხოვნილი თანადაფინანსების წილი მეტისმეტად დიდი აღმოჩნდა. ნერგები ძვირი ღირდა და ნიადაგის ლაბორატორიული ანალიზიც გახდა საჭირო, რისი ფინანსური შესაძლებლობაც არ მქონდა.“*** - თ. მ., 38 წლის, ქალი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი.

2.3.5. სახელმწიფო ეკონომიკური პროგრამების შესახებ ინფორმირებულობა და ინფორმაციის წყარო

სახელმწიფო ეკონომიკური პროგრამების შესახებ ინფორმირებულობა

უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლის და სამუშაო შესაძლებლობების სიმწირის გათვალისწინებით, მოსალოდნელი იყო სახელმწიფო ეკონომიკური პროგრამების მიმართ მოსახლეობის მაღალი ინტერესი. თუმცა, მონაცემებმა სხვა რეალობა აჩვენა: რესპონდენტთა მხოლოდ **35.7%-მა განაცხადა, რომ აქვს ინფორმაცია** ამ პროგრამების შესახებ, **მაშინ როცა საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა - 46% - მათ შესახებ საერთოდ არ არის ინფორმირებული**. გარდა ამისა, **რესპონდენტთა 18% არანაირ ინტერესს არ იჩენს ხსენებული პროგრამების მიმართ,** რაც მათი ხელმისაწვდომობის ან ეფექტიანობის მიმართ პოტენციური

ნდობის ნაკლებობის მაჩვენებელია. მსგავსი შედეგის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელმწიფო პროგრამებზე ხელმისაწვდომობა ან მათი საერთო ეფექტიანობა არადამაკმაყოფილებელია.

თვისებრივი მონაცემები ამ მოსაზრებას ადასტურებს. ადგილობრივი ექსპერტი აღნიშნავს ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამების არსებობას, თუმცა ხაზს უსვამს მათ შეზღუდულ მასშტაბსა და გავლენას: ***„ვერ ვიტყვი, რომ ამ მხრივ ნაკლებობაა. არსებობს ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამები, რაც ძალიან მისასალმებელია. ეს სახელმწიფო პროგრამები თვითმმართველობებშიც განხორციელდა, მათ შორის სენაკის მუნიციპალიტეტში. თუმცა, ეს პროგრამები მცირეა და მნიშვნელოვანი შედეგების დანახვა რთულია. ჩვენი მიზანი ადგილობრივ ბიუჯეტში ეკონომიკური პროგრამების წილის გაზრდაა, რაც საშუალებას მოგვცემს, რომ ბევრი საკითხი მოვაგვაროთ და ადამიანებს სტაბილურობის განცდა შევუქმნათ.“*** - მ. ლ., ქალი, ადგილობრივი ექსპერტი, თვითმმართველობის წარმომადგენელი, სენაკის მუნიციპალიტეტი.

სახელმწიფო ეკონომიკური პროგრამების არსებობის მიუხედავად, მათ შესახებ ინფორმირებულობის დაბალი დონე, ინფორმაციის გავრცელების და ცნობიერების ამაღლების საქმეში არსებულ მნიშვნელოვან ხარვეზზე მიუთითებს. ამ პროგრამების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების გაინტენსიურება, პროგრამების მასშტაბისა და გავლენის გაფართოება დაეხმარება სკეპტიციზმის შემცირებას და სახელმწიფო ინიციატივებში მონაწილეობის გაზრდას.

სახელმწიფო ეკონომიკური პროგრამების შესახებ ინფორმაციის წყაროები

მოსახლეობის უმეტესობისთვის ინფორმაციის მთავარი წყარო ტრადიციული მედიაა. **რესპონდენტთა 61%** სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიღების ძირითად არხებად **„ტელევიზიასა და რადიოს“** ასახელებს. სტანდარტული მედიასაშუალებებისადმი მსგავსი დამოკიდებულება ინფორმაციის გავრცელების მხრივ მის მუდმივ რელევანტურობას უსვამს ხაზს, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც მედიის სხვა ფორმები შეიძლება ნაკლებად ხელმისაწვდომი იყოს.

არასამთავრობო ორგანიზაციები (NGO) მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ინფორმაციის გავრცელებაში, როგორც ამას რესპონდენტთა 35.4% აღნიშნავს. ეს მაჩვენებელი თემებში სამოქალაქო საზოგადოებისადმი ნდობისა და მათი წვდომის მასშტაბს ასახავს, რაც არასამთავრობო ორგანიზაციებს მთავრობასა და მოსახლეობას შორის სასიცოცხლო შუამავლებად აქცევს. **მუნიციპალიტეტების ვებგვერდები** მნიშვნელოვან საინფორმაციო წყაროდ გვევლინება - მათ რესპონდენტთა 33.7% ეყრდნობა. ეს ხაზს უსვამს ადგილობრივი ხელისუფლების მნიშვნელობას ინფორმაციის გავრცელებაში და ასახავს მოსახლეობის ინტერესს ონლაინ ინფორმაციისადმი და მის ხელმისაწვდომობას ამ ადგილობრივი არხების მეშვეობით. **ამის საპირისპიროდ, რესპონდენტთა მხოლოდ 19.7% ასახელებს ცენტრალური მთავრობის ონლაინ პლატფორმებს ინფორმაციის წყაროდ,** რაც ცენტრალური მთავრობის საინფორმაციო მუშაობის ნაკლებ ეფექტიანობაზე მიუთითებს ადგილობრივ ხელისუფლებასთან შედარებით. რესპონდენტთა 33.1%-ისთვის ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს „მეზობლები და ნაცნობები“ წარმოადგენენ. ეს ინფორმაციის გავრცელებაში სოციალური ქსელებისა და სათემო ურთიერთობების როლს გამოკვეთს და ცნობიერების ამაღლების საზოგადოებრივ ხასიათს წარმოაჩენს.

მთავრობის წარმომადგენლებთან პირდაპირი შეხვედრები ინფორმაციის ყველაზე ნაკლებად სავარაუდო წყაროდ დასახელდა. ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრები (16.7%), მერიის წარმომადგენლები სოფლებში (13.9%) და ცენტრალური ხე-

ლისუფლების წარმომადგენლები, მათ შორის სამინისტროები (10.1%) - ყველაზე იშვიათად იყო ნახსენები. ამასთან, საინფორმაციო ბროშურები და დაფები რესპონდენტთა 12.7%-მა დაასახელა, რაც მიანიშნებს, რომ პირდაპირი, ინტერპერსონალური საკომუნიკაციო არხები ფართო მოსახლეობასთან წვდომისთვის ნაკლებად გამოიყენება, ან ნაკლებად ეფექტიანია.

თვისებრივ მონაცემებზე დაფუძნებული ხედვები

თვისებრივი კვლევა აჩვენებს, რომ მოსახლეობის ონლაინ ინფორმირების პრაქტიკა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ სოციალური ქსელები და სახელმწიფო უწყებების ვებგვერდები სასარგებლო ინსტრუმენტებად იქცა პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოძიებისა და მიღებისთვის. თუმცა, ონლაინ წვდომის კუთხით კვლავ არსებობს მნიშვნელოვანი ბარიერები მოსახლეობის გარკვეული სეგმენტებისთვის, მათ შორის სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებისთვის, ხანდაზმულებისთვის და სოფლის მცხოვრებლებისთვის, რომლებიც ხშირად აწყდებიან გამოწვევებს სუსტი ინტერნეტ დაფარვის, შესაბამისი ტექნოლოგიების ნაკლებობის ან შეზღუდული ციფრული წიგნიერების გამო.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ონლაინ პლატფორმები სასარგებლოა, ისინი უნივერსალურად ხელმისაწვდომი არ არის. მოსახლეობის ამ ნაწილისთვის უპირატეს და უფრო ეფექტიან საკომუნიკაციო ფორმებად საინფორმაციო ბუკლეტები, ბროშურები და მთავრობის წარმომადგენლებთან პირდაპირი შეხვედრები რჩება. ეს დასტურდება რაოდენობრივი მონაცემებით, რომლებიც ინფორმაციის გავრცელების ტრადიციულ და პირდაპირ ფორმებზე დამოკიდებულებას აჩვენებს.

2.4. სასურსათო უსაფრთხოების დონე

სასურსათო უსაფრთხოება საერთო კეთილდღეობისა და სტაბილურობის მნიშვნელოვანი ასპექტია, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდებსა და ოჯახებისთვის საკმარის, უსაფრთხო და მაღალი კვებითი ღირებულების მქონე საკვებზე საიმედო წვდომას ჯანმრთელი და აქტიური ცხოვრების შესანარჩუნებლად. ეს თავი ორ მთავარ საკითხზე აკეთებს აქცენტს სასურსათო უსაფრთხოების მიმდინარე მდგომარეობის დასადგენად: პირველი, როგორ აფასებს მოსახლეობა საკუთარ და ოჯახის სასურსათო უსაფრთხოებას ხუთქულიან სკალაზე და მეორე - რა ფაქტორები წარმოადგენს მთავარ საფრთხეს მათი საკვები უსაფრთხოებისთვის. ეს ინფორმაცია დაგვეხმარება, გამოვავლინოთ მთავარი პრობლემური სფეროები და შევიმუშაოთ სტრატეგიები საზოგადოებაში სასურსათო უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად.

2.4.1. სასურსათო უსაფრთხოების დონის შეფასება

მოსახლეობის მიერ სასურსათო უსაფრთხოების შეფასება ხუთქულიანი სკალის მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხულთა უმრავლესობა - 49.1% - მას საშუალო დონეზე აფასებს და 3 ქულას ანიჭებს. შედარებით მცირე ნაწილი თვლის, რომ მათი სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა მძიმეა: 6% მას ძალიან ცუდად (1 ქულა), ხოლო 15% - ცუდად (2 ქულა) აფასებს. დადებითი შეფასებების მხრივ, 24.6% თვლის, რომ მათი საკვების უსაფრთხოება საშუალოზე მაღალია (4 ქულა), ხოლო 5.3% მას საუკეთესოდ მიიჩნევს (5 ქულა). დეტალური მონაცემები იხილეთ დიაგრამაზე №6.

ჩაშლილი მონაცემების თანახმად, სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა თანაბრად მწვავეა, როგორც დევნილებისთვის, ისე ადგილობრივი მოსახლეობისთვის. იძულებით გადაადგილებულ პირთა 20.6% და ადგილობრივთა 21.4% საკუთარ სასურსათო უსაფრთხოებას ყველაზე დაბალ დონეზე აფასებს (სკალაზე 1-2 ქულა). იმ 199 ადამიანიდან, რომლებმაც სკალაზე 1-2 ქულა მონიშნეს, უმრავლესობა წალენჯიხიდანაა (46 ადამიანი), შემდეგ მოდის ხონი (40), სენაკი (31), ქუთაისი (34), წყალტუბო (26) და ზუგდიდი (22).

საკვების უსაფრთხოების დონის შეფასება



დიაგრამა №6

2.4.2. სასურსათო უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევები

საკვების უსაფრთხოების მთავარი გამოწვევა, **რესპონდენტთა 61.1%-ის თანახმად, ხარისხიანი და მრავალფეროვანი საკვები პროდუქტების შესაძენად ფინანსური რესურსების ნაკლებობაა. საკვები პროდუქტების მაღალ ფასს** საფრთხედ მიიჩნევს **რესპონდენტთა 58.7%**. ამასთან, რესპონდენტთა 26,7% აღნიშნავს, რომ **მათთვის ხარისხიანი საკვები პროდუქტები ხელმიუწვდომელია** (იხილეთ დიაგრამა №7).

ახლომდებარე სასურსათო მაღაზიების არარსებობა ხაზგასმულია რესპონდენტთა 10.4%-ის მიერ, განსაკუთრებით სოფლად და კონფლიქტის გამყოფ ხაზთან ახლოს მცხოვრები ქალების მიერ, რომლებსაც ქალაქებში მგზავრობა უწევთ საკვებისა და საყოფაცხოვრებო პროდუქტების შესაძენად. გამოწვევას კიდევ უფრო ართულებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეზღუდული ინფრასტრუქტურა, რაც რესპონდენტებს ხშირად აიძულებს ტაქსით სარგებლობას, ეს კი მნიშვნელოვნად ზრდის პროდუქტების ღირებულებას და რესპონდენტებს რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში აგდებს. **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამო ბაზრებსა და მაღაზიებზე შეზღუდული წვდომა** საფრთხედ აღნიშნა რესპონდენტთა 9.3%-მა.

კლიმატის ცვლილების უარყოფითი გავლენა სოფლის მეურნეობაზე საფრთხედ მიიჩნევა რესპონდენტთა 13.1%-ის მიერ, ხოლო 14.2% სასურსათო უსაფრთხოებისთვის პრობლემად „დაბალანსებული და ჯანსაღი კვების შესახებ არასაკმარის ინფორმირებულობას“ ასახელებს. **სასმელ წყალზე შეზღუდული წვდომა** ახსენა რესპონდენტთა 5.7%-მა, რომელთა უმეტესობა წალენჯიხის მუნიციპალიტეტიდანაა (განსაკუთრებით სოფელ ფახულანი-წყოუშის მოსახლეობა).



დიაგრამა №7

სასურსათო უსაფრთხოების თვისებრივი მონაცემების ანალიზი

თვისებრივი მონაცემები მრავალფეროვან გამოწვევებს გამოკვეთს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, რაც სასურსათო უსაფრთხოებაზე მოქმედი პრობლემების ფართო სპექტრს ასახავს.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი: რესპონდენტები, ზოგადად, საშუალოდ აფასებენ თემის საკვების უსაფრთხოებას. სასურსათო მაღაზიების შეზღუდული რაოდენობა, მაღალი ფასები და პროდუქტის დაბალი ხარისხი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებულია, უკეთესი არჩევანისთვის ქალაქში გაემგზავროს, რაც დამატებით ხარჯებს იწვევს. ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა: *„ჩემს სოფელში ახლომდებარე მაღაზია არაა, ამიტომ რთულია ხარისხიანი პროდუქტების მოძებნა და შეძენა. მაღალი ფასები კიდევ უფრო ართულებს სიტუაციას. ყველაზე მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ საქონელი კარგად იყოს მოვლილი და პროდუქტები - ბუნებრივად დამუშავებული. ხალხს სჭირდება ცოდნის გაღრმავება ხარისხის ამოსაცნობად. საკვების უსაფრთხოება დაცული უნდა იყოს და მაღალ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს.“* - შ.შ., 48 წლის, ქალი, ბაღის მენეჯერი, მეწარმე, ადგილობრივი.

მაღალი ფასები და ახლომდებარე მაღაზიების არარსებობა **საკვების უსაფრთხოების მდგომარეობას ართულებს, განსაკუთრებით ხანდაზმულებისთვის და კონფლიქტის გამყოფი ხაზის მახლობლად მცხოვრებთათვის.** ხანდაზმულები ნაკლებად გადაადგილდებიან და აქვთ ჯანმრთელობის პრობლემები, რაც ხელს უშლით ქალაქში მგზავრობაში ხელმისაწვდომი და ხარისხიანი პროდუქტების შესაძენად. გარდა ამისა, მათი პენსია ხშირად არ არის საკმარისი ტრანსპორტირების დამატებითი ხარჯების დასაფარად, რაც მათ მოწყვლადს ხდის და საბაზისო საჭიროებებზე ადეკვატური წვდომის გარეშე ტოვებს. კლიმატის ცვლილება, სუფთა წყალზე ხელმისაწვდომობა და მავნებლები კიდევ უფრო მეტ საფრთხეს უქმნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობას, რაც საკვების უსაფრთხოებაზე ახდენს გავლენას.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი: ზუგდიდში სასურსათო უსაფრთხოება ფასდება, როგორც საშუალო; რესპონდენტთა მნიშვნელოვან მღელვარებას იწვევს მაღალი ფასები და პროდუქტის დაბალი ხარისხი. ბევრ სოფელში **არ არის სასურსათო მაღაზიები,** რაც მცხოვრებლებს ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ქალაქებში მგზავრობას აიძულებს. ეს, თავის მხრივ, ხარჯებს ზრდის და ახალ საკვებზე ხელმისაწვდომობას ამცირებს - *„საკვების უსაფრთხოება ჩვენს თემში დაბალია; არ არის მაღაზია და გვიწევს მეზობელ სოფელში ან ქალაქში წასვლა საკვების საყიდლად."* - ც. ა., 65 წლის, ქალი, ბუღალტერი, იძულებით გადაადგილებული პირი, კოკი.

პესტიციდებისა და ჰერბიციდების გამოყენება სერიოზულ საფრთხეს უქმნის საკვების ხარისხსა და უსაფრთხოებას - *„ყველაფერი პესტიციდებითა და ჰერბიციდებითაა გაჟღენთილი და ასეთ ხილსა და ბოსტნეულს გამანადგურებელი ეფექტი აქვს ჩვენს ჯანმრთელობაზე."* - ე. შ., 29 წლის, კაცი, მასწავლებელი, დიდი ნეძი.

გარემო ფაქტორები, როგორიცაა **მავნებლების კონტროლის არაეფექტიანი ზომები**, კიდევ უფრო ამძიმებს საკვების არასტაბილურობას - *„სოფელში ცხოვრება არ ნიშნავს, რომ ჯანსაღი ხილითა და ბოსტნეულით ვართ უზრუნველყოფილი. სახელმწიფოს მიერ აზიური ფაროსანების მოწამვლას უარყოფითი შედეგები მოაქვს; შხამი გავლენას ახდენს როგორც ხილზე, ისე ბოსტნეულზე."* - ნ. ფ., 38 წლის, ქალი, დიდი ნეძი.

გარდა ამისა, **ადგილობრივად მოყვანილი პროდუქციის დაბალი ხარისხი** მოსახლეობის მთავარი საზრუნავია - *„გასულ წელს პომიდორი მთლიანად განადგურდა, ისევე როგორც სხვა ბოსტნეული, რომელიც ბოსტანში გვქონდა. ხილიც ძალიან დაბალი ხარისხისაა და უგემური. თხილზე ვერაფერს ვიტყვი, იმდენად დაბალი ხარისხისაა, არც ღირს მისი მოკრეფა, მუშახელის დაქირავება და შეგროვება."* - ი. ზ., 39 წლის, ქალი, დიდი ნეძი.

სენაკის მუნიციპალიტეტი: კლიმატის ცვლილება მთავარი პრობლემაა სენაკში, განსაკუთრებით კი მისი გავლენა სოფლის მეურნეობაზე. მაღალი ფასები და დევნილთა დასახლებებში სასურსათო მაღაზიების არარსებობა მნიშვნელოვანი საკითხებია. ერთ-ერთი რესპონდენტის მტკიცებით: *„სოფელში ხალხს მოსავალი ვეღარ მოჰყავს. მინდორს დავთესავთ და გამოვთვლით, რამდენჯერ უნდა მორწყა სიმინდის ერთი ღერო, რომ მოსავალი მოგვცეს. ზაფხული მოვა და ერთი წვიმის გარეშე ჩაივლის. ასე რომ, მოსავლის ამბავი დამთავრებულია. კლიმატი შეიცვალა და, როგორც ჩანს, პირველ რიგში სოფლის მეურნეობაზე მოქმედებს. მოსალოდნელია არასაკმარისი და დეფიციტური მოსავალი. ხოლო ყველაფერი, რაც იშვიათია, ძვირია".* - დ. გ., 57 წლის, ქალი, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული. იძულებით გადაადგილებული პირები სენაკში დამატებით გამოწვევებს აწყდებიან, მათ შორის ხელმისაწვდომი სასურსათო მაღაზიების ნაკლებობას, რაც მათ აიძულებთ, უკეთესი და ხელმისაწვდომი ფასებისთვის დიდ ბაზრებში იმგზავრონ.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი: საკვების მაღალი ფასები ზღუდავს მოსახლეობის წვდომას ხარისხიან პროდუქტებზე. გარდა ამისა, რესპონდენტების მღელვარებას იწვევს საკვების სიახლე და ხარისხი. მრავალშვილიანი დედის თქმით: *„ხარისხიანი საკვები ძალიან ძვირია. მხოლოდ კარაქითაც რომ დავიწყო, ის იმდენად ძვირია, რომ მარტო ბავშვებისთვის უნდა ვიყიდო, რადგან ბავშვებისთვის შედარებით მაღალი ხარისხის ხილისა და ბოსტნეულის მიცემაზე ვართ ორიენტირებული, უფროსებისთვის ჩვეულებრივ იაფ, უფრო დაბალი ხარისხის პროდუქტებს ვყიდულობ."* - მ. ბ., 29 წლის, მრავალშვილიანი დედა. სხვა რესპონდენტმა აღნიშნა: *„წყალტუბოში ბოსტნეულის დეფიციტი არ უნდა იყოს. ახლა კი ესეც დეფიციტურია. ბოსტნეულის მოყვანა ძვირია; საჭიროა სათბური. ძვირი პროდუქ-*

ციის მყიდველი არ არის, რადგან ხალხი იმპორტირებული და იაფი ბოსტნეულის ყიდვას ამჯობინებს. ყველამ იცის, რომ ადგილობრივი ბოსტნეული უკეთესია, მაგრამ სხვა გზა არ არის." - ც. დ., 48 წლის, ქალი, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული.

ადგილობრივი მაღაზიების მიმართ ნდობა დაბალია იმ ხშირი პრობლემების გამო, რაც **ვადაგასულ ან ცუდად შენახულ პროდუქტებს უკავშირდება**. ერთმა პენსიონერმა ასე გამოხატა თავისი წუხილი: *„ყოველთვის მაქვს შიშის გრძნობა პროდუქტების ყიდვისას, რომ რომელიმე მათგანი შეიძლება ვადაგასული იყოს. განსაკუთრებით საგანგაშოა ხილი, გაყინული პროდუქტები და თევზი. პროდუქტებსა და სასურსათო მაღაზიებს ხშირი გარე კონტროლი უნდა ჰქონდეთ."* - დ. ბ., 67 წლის, კაცი, პენსიონერი.

ხონის მუნიციპალიტეტი: ხონში რესპონდენტები ხაზს უსვამენ მნიშვნელოვან პრობლემებს საკვების ხარისხის კონტროლთან დაკავშირებით, რაც მომხმარებელთა მოწყვლადობას იწვევს. მაღალი ფასები და ეფექტიანი ხარისხის კონტროლის არარსებობა ამ პრობლემებს კიდევ უფრო ამძაფრებს - *„ნამდვილად არ გვაქვს ხელსაყრელი მდგომარეობა კვების სექტორში - არ არსებობს ხარისხის კონტროლი და ჩვენ, მომხმარებლები, აბსოლუტურად მოწყვლადები ვართ. იძულებული ვართ, ვიყიდოთ პროდუქტი და შემდეგ გამოვიყენოთ საკვებად და არ ვართ დარწმუნებული, რამდენად სასარგებლოა ან, პირიქით, მავნებელია იგი ჩვენი ორგანიზმისთვის."* - ე. ჯ., 39 წლის, ადგილობრივი სამთავრობო მოხელე.

სიტუაცია მოითხოვს კვების სექტორში კონკურენციის ზრდას, პროდუქტის უფრო მკაცრ კონტროლს და გაცილებით ძლიერ მარეგულირებელ მექანიზმებს საკვების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ქუთაისის მუნიციპალიტეტი: ქუთაისში საკვების უსაფრთხოება ფასდება როგორც ცუდი, **მაღალი ფასების, სუსტი ხარისხის კონტროლისა და დაბალი ხარისხის, პესტიციდებით გაჯერებული და გენმოდიფიცირებული პროდუქტების არსებობის გამო**. რესპონდენტები ხაზს უსვამენ საკვების არარეალისტურად მაღალ ფასებს და ისეთი მავნე ნივთიერებების არსებობას, როგორიცაა ტყვია სათამაშოებსა და სანელებლებში და პესტიციდები საკვებში.

ერთ-ერთმა რესპონდენტმა ხაზი გაუსვა ამ პრობლემებს: *„ზოგიერთ ქსელურ მაღაზიაში ვადაგასული პროდუქტების შემოწმების წესები ძალზე არადამაკმაყოფილებელია. ხილ-ბოსტნეულის მონიტორინგი უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ ცნობილი არაა ნიტრატების პროცენტული რაოდენობა მოცემულ პროდუქტში. მაგალითად, საზამთრო პრობლემურ პროდუქტს წარმოადგენს, ეფექტური სახელმწიფო კონტროლის არარსებობის გამო. ფასი ყველგან მაღალია, მაგრამ ხარისხი ხშირად შეუსაბამოა. სასურსათო მაღაზიაში ყველაფერი ლამაზად გამოიყურება, მაგრამ აქ ბევრ დარღვევას ნახავთ."* - ს. ს., 28 წლის, ქალი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ქალთა უფლებების დამცველი.

მეორე რესპონდენტმა ხაზი გაუსვა მზარდ ჯანმრთელობის პრობლემებს და თქვა: *„მაღალია ავადმყოფების რაოდენობა: გულ-სისხლძარღვთა პრობლემების, აუტისტური სპექტრისა და ეპილეფსიის მქონე პაციენტები, ავთვისებიანი სიმსივნეების მქონე პაციენტები. მაჩვენებელი სულ უფრო და უფრო იზრდება, ჩვენი საკვების ხარისხი კი დაბალია. არ ვიცით, როგორ მოწმდება ესა თუ ის პროდუქტი საბაჟოზე თუ მაღაზიებში. აუცილებელია პროდუქტების ხარისხის შემოწმება და კონტროლის მექანიზმის გამკაცრება."* - პ. კ., 52 წლის, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი.

2.5. ეკოლოგიური უსაფრთხოება

ეკოლოგიური უსაფრთხოება ადამიანის უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ასპექტია, რომელიც ძლიერად მოქმედებს თემის უსაფრთხოებაზე, ჯანმრთელობაზე, ეკონომიკურ მდგომარეობასა და საერთო კეთილდღეობაზე. სტაბილური და ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფა აუცილებელია მდგრადი განვითარებისთვის და იმ ეკოლოგიური კრიზისების თავიდან ასაცილებლად, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას საარსებო წყაროებს. ეს თავი მოიცავს შემდეგ ძირითად საკითხებს: ქალაქებსა და სოფლებში ეკოლოგიური უსაფრთხოების ხარისხის შეფასება; და თემში არსებული ყველაზე მწვავე გარემოსდაცვითი პრობლემების იდენტიფიცირება.

2.5.1. ეკოლოგიური უსაფრთხოების დონის შეფასება

რაოდენობრივი კვლევის თანახმად, ეკოლოგიური უსაფრთხოების ხარისხი ზოგადად აღიქმება როგორც საშუალო, რესპონდენტთა 47.3% მას ხუთქულიან სკალაზე 3 ქულით აფასებს. სხვა შეფასებები შემდეგი სახისაა: რესპონდენტთა 6.9% აფასებს მას როგორც ძალიან ცუდს (1 ქულა), 15.3% - როგორც ცუდს (2 ქულა), 25.6% - როგორც კარგს (4 ქულა) და მხოლოდ 4% - როგორც ძალიან კარგს (5 ქულა) - იხილეთ დიაგრამა №8.

ეკოლოგიური უსაფრთხოების დონის შეფასება



დიაგრამა №8

2.5.2. ეკოლოგიური უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევები

ეკოლოგიური უსაფრთხოების რისკების შეფასებისას, ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა იყო **სადრენაჟო მილების** არარსებობა ან გაუმართაობა, რაც **დატბორვის საფრთხეს** ქმნის და რასაც რესპონდენტთა 49.9%-მა გაუსვა ხაზი. ამას მოჰყვა **საკანალიზაციო სისტემების** გაუმართაობა, რაც რესპონდენტთა 40.8%-მა აღნიშნა და დაბინძურებული ჰაერის საფრთხე, რასაც ხაზი გაუსვა 37.5%-მა (იხილეთ დიაგრამა №9). **ნარჩენების მართვის შეზღუ-**

დული პრაქტიკა, როგორიცაა ნაგვის ურნების ნაკლებობა და ნარჩენების არაადეკვატური გადამუშავება, რესპონდენტთა 30.9%-მა დაასახელა. ამასთან, პარკებისა და მწვანე სივრცეების ნაკლებობის პრობლემა გამოკვეთა რესპონდენტთა 29.4%-მა. **კლიმატის ცვლილების** გავლენას, მათ შორის ტემპერატურის მატებას და კლიმატთან დაკავშირებულ სხვა გამოწვევებს, 23.7%-მა გაუსვა ხაზი. **ნიადაგის ქიმიური დაბინძურება**, რაც სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაში პესტიციდებისა და სასუქების ჭარბი გამოყენებითაა გამოწვეული, დაასახელა რესპონდენტთა 23.1%-მა. და ბოლოს, **სუფთა სასმელ წყალზე** შეზღუდული წვდომა მნიშვნელოვან პრობლემად მიაჩნია რესპონდენტთა 20.2%-ს და ეს გამოწვევა განსაკუთრებით აქტუალურია წალენჯიხის მუნიციპალიტეტში გამყოფი ხაზის მახლობლად მცხოვრები მოსახლეობისთვის.

ეკოლოგიური უსაფრთხოების მთავარი გამოწვევები



დიაგრამა №9

ეკოლოგიური უსაფრთხოების თვისებრივი მონაცემების ანალიზი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი: როგორც თვისებრივი მონაცემები აჩვენებს, მართალია, წალენჯიხაში საერთო გარემოსდაცვითი უსაფრთხოება არ ფასდება უკიდურესად საგანგაშოდ, მაგრამ არსებობს რამდენიმე მწვავე საკითხი, რომლებიც მოგვარებას საჭიროებს. ერთ-ერთი **ყველაზე აქტუალური პრობლემა არის ხარისხიანი სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა.** ბევრი თემი დამოკიდებულია არტეზიულ ჭებზე, რომლებიც ხშირად შრება ზაფხულში კლიმატური ცვლილებების და ტყის უკონტროლო ჭრის გამო. მოსახლეობას არ აქვს ინფორმაცია სასმელი წყლის უსაფრთხოების შესახებ, რადგან მისი ხარისხი რეგულარულად არ მოწმდება. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს: ***„დღესდღეობით არ ვიცით,***

რამდენად სუფთაა სასმელი წყალი, რომელსაც ვიყენებთ. მაგალითად, გვაქვს დიდი რეზერვუარი, რომელიც წყაროს წყლითაა შევსებული, თუმცა არავის არასდროს შეუმოწმებია მისი ვარგისიანობა. ერთადერთი უსაფრთხოების გარანტია ის არის, რომ ჯერჯერობით არავინ მოუკლავს... თუმცა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შეიძლება დაავადებები გამოიწვიოს." - ს. ჩ, 49 წლის, ქალი, მასწავლებელი, ფახულანი. ხარისხიანი სასმელი წყლის ნაკლებობა განსაკუთრებით ქალებზე მოქმედებს, რადგან ისინი არიან მთავარი პასუხისმგებლები საოჯახო საქმეებზე, როგორიცაა საჭმლის მომზადება, დასუფთავება და რეცხვა, რისთვისაც ყველას წყალი სჭირდება. **ბევრი ქალი ყოველდღიურად ატარებს წყლის მძიმე სათლებს, რაც მათ სამუშაო და ფიზიკურ დატვირთვას ზრდის.**

გარდა ამისა, **ნარჩენების მართვის არაადეკვატური პრაქტიკა**, როგორიცაა ნარჩენების დაწვა საგაზაფხულო სამუშაოების დროს, ჰაერის დაბინძურებას და ჯანმრთელობის საფრთხეებს იწვევს - *„ვერ ვახერხებთ ფოთლებისა და დამპალი თხილის დაწვის აღკვეთას, რაც კანცეროგენულ ნივთიერებების გამოყოფას და ჰაერის დაბინძურებას იწვევს."* - აღნიშნა ნ. გ.-მ, 45 წლის ექიმმა, ქალი, ფახულანიდან. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა **მეწყერსაშიში ზონების გაჩენა**, რაც საფრთხეს უქმნის საცხოვრებელ ტერიტორიებს და სისტემატურ გეოლოგიურ მონიტორინგს საჭიროებს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რესპონდენტები ეკოლოგიური უსაფრთხოების დონეს საკმაოდ საგანგაშოდ მიიჩნევენ. კლიმატის ცვლილებებს პროპორციული გავლენა აქვს ეკოლოგიაზე, რაც იწვევს ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურებას და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოსავალსა და ხარისხს ამცირებს.

განსაკუთრებით გახშირდა წყალდიდობები: *„წყალდიდობების რიცხვმა განსაკუთრებით იმატა. სოფელ ორულუში წელიწადში ორჯერაც კი მოხდა. გახსენებაც შემზარავია. წყალდიდობა არა მხოლოდ საოჯახო ნივთებსა და ცხოველებს აზიანებს, არამედ მრავალი ინფექციური დაავადების საფრთხეს შეიცავს და ხალხის ჯანმრთელობის გაუარესებას იწვევს."* - ი. ზ., 39 წლის, ქალი, დიდი ნეძი.

სოფლებში სადრენაჟო არხების საკითხი მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა: *„სოფელში არ არის სადრენაჟო არხები. გასული წლის სექტემბერში ჩვენი სახლები დაიტბორა და ნაგვითა და ტალახით სავსე წყალმა პირველ სართულზე ყველაფერი გაანადგურა. მე ჯერ კიდევ მაქვს ჯანმრთელობის პრობლემები და შეიძლება ოპერაცია დამჭირდეს. სწორად დაპროექტებულ სადრენაჟო სისტემებს ასეთი კატასტროფის თავიდან აცილება შეეძლო."* - ნ. ფ., 38 წლის, ქალი, დიდი ნეძი.

მოსახლეობას ასევე აწუხებს **სასმელი წყლის ხარისხი**, ზაფხულში ჭები ხშირად შრება და წყლის ხარისხი საეჭვოა. რესპონდენტებმა აღნიშნეს უკეთესი ინფრასტრუქტურისა და ადრეული გაფრთხილების სახელმწიფო სისტემის საჭიროება ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად - *„ჯერ არ ვართ მიჩვეული კლიმატის პროგნოზირებას; ტექნოლოგია და მეთოდოლოგია არ არის იმ დონეზე განვითარებული. ქვეყნებში, სადაც ეს გათვლილია, უსაფრთხოების დონე უფრო მაღალია ადრეული გაფრთხილების სისტემით. სათანადო რეაგირებას შეუძლია რისკების თავიდან აცილება და კატაკლიზმების შედეგების მინიმუმამდე დაყვანა."* - მ. ქ, 48 წლის, ქალი, მასწავლებელი, მეწარმე, მრავალშვილიანი დედა, ზუგდიდი.

მღელვარებას იწვევს სოფლებში ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფი სახელმწიფო პროგრამებისა და ამ მიმართულებით კვლევების არარსებობა. **ნარჩენების სათანადო მართვა, სატყეო ფონდის შენარჩუნება და წყალმომარაგების უზრუნველყოფა ხაზგასმული იყო, როგორც აუცილებელი ზომები ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.**

სენაკის მუნიციპალიტეტი: სენაკში **საკანალიზაციო სისტემის მწყობრიდან გამოსვლა** მნიშვნელოვანი პრობლემაა, განსაკუთრებით იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში, სადაც დროებითმა გადაწყვეტილებებმა ვერ მოაგვარა გრძელვადიანი პრობლემა - ***„მთელ სენაკში არის კანალიზაციის პრობლემა, მაგრამ დევნილთა დასახლება წლებია, ამ პრობლემით იტანჯება. ეს მოითხოვს ფინანსურ ინვესტიციას, რაც ადგილობრივ ბიუჯეტში არ არის.“*** - ტ. ნ., 45 წლის, ქალი, დევნილი.

ჰაერის დაბინძურება კიდევ ერთი მთავარი პრობლემაა, **რომელსაც კატალიზატორის არმქონე მანქანათა სიმრავლე და მწვანე სივრცეების ნაკლებობა ამძაფრებს** - ***„მანქანების გამონაბოლქვისა და მწვანე სივრცეების ნაკლებობის გამო ჰაერის ხარისხი სათანადო არაა.“*** - მ. დ., 37 წლის, კაცი, დასაქმებული. რესპონდენტებმა ასევე აღნიშნეს **სუფთა სასმელი წყლის ნაკლებობას და ხშირ დატბორვას, რასაც არაადეკვატური სადრენაჟო სისტემები იწვევს.**

მოსახლეობა უაღრესად შეშფოთებულია ჭარბი სასუქებისა და ქიმიური დანამატების შედეგად ნიადაგის **ქიმიური დაბინძურების გამო**. ფოკუს-ჯგუფებმა დააფიქსირეს **პესტიციდების ჭარბი დოზით გამოწვეულ საფრთხეებს** და ბაზრის რეგულირების ნაკლებობას, რის გამოც მომხმარებლებმა არ იციან პროდუქტში ნიტრატების შემცველობის დონე და **სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების**, მათ შორის ხილისა და ბოსტნეულის, უსაფრთხოება.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თვისებრივი მონაცემები ხაზს უსვამს მოსახლეობის მნიშვნელოვან შეშფოთებას გარემოსდაცვითი საფრთხეების თაობაზე, მათ შორის არაადეკვატური სადრენაჟო სისტემების, ნარჩენების მართვისა და ჰაერის დაბინძურების გამო.

სადრენაჟო მილების ნაკლებობა და დატბორვის შიში მოსახლეობის სტრესს აძლიერებს. **ნარჩენების მართვისა და გადამუშავების ეფექტური პროცესების არარსებობა** კიდევ უფრო ამძაფრებს ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემებს. **საკანალიზაციო სისტემების მწყობრიდან გამოსვლა** მორიგი მწვავე პრობლემაა, რომლითაც თანაბრად შეშფოთებულნი არიან როგორც კაცები, ასევე ქალები. **იძულებით გადაადგილებულ პირებთან შედარებით, ადგილობრივი თემის წარმომადგენლების მღელვარება უფრო მაღალია,** რადგან დევნილი მოსახლეობის ძირითად ნაწილს უკვე მიეწოდა ახალი საცხოვრებელი, სადაც, ადგილობრივების თქმით, საკანალიზაციო სისტემები ნაკლებად პრობლემურია.

ადგილობრივმა მცხოვრებმა აღნიშნა: ***„ჩემს თემში გარემოს უსაფრთხოების დონეს შევაფასებდი როგორც ძალიან დაბალს. რადგან მჭიდროდ დასახლებულ ადგილას ვცხოვრობ, გზის პირას და მუდმივად გვაწუხებს მანქანების გამონაბოლქვი, რაც ქმნის არახელსაყრელ გარემოს ეკოლოგიური უსაფრთხოების თვალსაზრისით. ასევე გვაქვს ეჭვი, რომ სასმელი წყალი სათანადოდ არ იფილტრება.“*** - მ. დ., 52 წლის, ქალი, წყალტუბო.

ხაზგასმით აღინიშნა **მწვანე სივრცეების უკეთესი მოვლისა და განახლების აუცილებლობაც** - ***„წყალტუბო მწვანე ქალაქია, მაგრამ ჰაერი მაინც დაბინძურებულია. დაბინძურების შესამცირებლად ელექტრომანქანები უნდა გამოიყენებოდეს. ჩვენს მწვანე ტყეს სჭირდება განახლება და დაავადებული ხეების მკურნალობა.“*** - კ. დ., ადგილობრივი ექსპერტი, თვითმმართველობის წარმომადგენელი.

დაბინძურებული ჰაერი მთავარი პრობლემაა. როგორც ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა: ***„სადაც ჰაერი ვარგისი არ არის, იქ საკვები პროდუქტები საეჭვოა. ხოლო სადაც პროდუქტები შესაფერისი ხარისხის არაა, იქ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ადამიანის ჯანმრთელობა, მათ შორის ორსული ქალებისაც. გამოდის, რომ ჩვენი მომავალი საფრთხეშია. ეს ჯაჭვი საკმაოდ გრძელია, სამწუხაროდ. ამიტომ უნდა დავიწყოთ ჰაერიდან. ჰაერი არ უნდა იყოს დაბინძურებული, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ამისთვის.“*** - ბ. დ., 63 წლის, კაცი, ექიმი.

ხონის მუნიციპალიტეტი: ხონში თვისებრივი მონაცემები მიუთითებს გარემოს უსაფრთხოების დაბალ შეგრძნებაზე, რაც გამძაფრებულია ისეთი პრობლემებით, როგორიცაა ტყის უკონტროლო ჭრა, არასათანადო ნარჩენების გატანა და მანქანების გამონაბოლქვი. მოსახლეობამ აღნიშნა ქარსაცავი ზოლების განადგურება, რაც ადრე მოსახლეობას ძლიერი ქარებისგან იცავდა - ***„ჩვენ ვცხოვრობთ ტერიტორიაზე, სადაც ადრე იყო ქარსაცავი, რომელიც შემდეგ განადგურდა და ამან ქარის სიძლიერე გაზარდა."*** - შერეული ფოკუს-ჯგუფის წევრები.

ეკოლოგიური უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად აუცილებელია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ადგილობრივი დაფინანსების გაზრდა და სკოლებში გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. რესპონდენტებმა ხაზი ასევე გაუსვეს ნარჩენების სათანადო მართვისა და წყალმომარაგების სისტემების მნიშვნელობას.

ქუთაისის მუნიციპალიტეტი: ქუთაისი მნიშვნელოვანი ეკოლოგიური გამოწვევების წინაშე დგას, მათ შორის გამორჩეულია ახლომდებარე მეტალურგიული ქარხნით გამოწვეული ჰაერის დაბინძურება, რაც ბავშვთა სისხლში ტყვიის მაღალ დონეს იწვევს - ***„ბავშვებში სისხლში ტყვიის მაღალი დონე პირდაპირ დაკავშირებულია ამ ქარხნის არსებობასთან. ისინი არ იყენებენ ფილტრებს და, შესაბამისად, ხმაური და დაბინძურება მუდმივი სახისაა."*** - ს. ს., 28 წლის, ქალი, არასამთავრობო ორგანიზაცია, ქალთა უფლებადამცველი.

კიდევ ერთი არსებითი პრობლემა საცხოვრებელი ზონების ახლოს მდებარე **ნაგავსაყრელია**, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას, იწვევს ინფექციური დაავადებების გავრცელებას, გრუნტის წყლების დაბინძურებასა და მავნე აირების გამოყოფას. ამ საფრთხეების შესამცირებლად აუცილებელია ნაგავსაყრელის უფრო უსაფრთხო მანძილზე გადატანა, ნარჩენების მართვის მკაცრი პრაქტიკის დანერგვა და რეგულარული მონიტორინგისა და ტექნიკური მომსახურების პროტოკოლების დადგენა.

ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად რესპონდენტებმა შემოგვთავაზეს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ნარჩენების მართვისა და წყალმომარაგების სისტემების გაუმჯობესება, ტყის ჭრის საქმიანობის კონტროლი და ნარჩენების გადამუშავების პრაქტიკის დანერგვა.

2.6. ჯანმრთელობის უსაფრთხოება

ჯანმრთელობის უსაფრთხოება ადამიანური უსაფრთხოების ფუნდამენტური ასპექტია, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს ცხოვრების ხარისხზე, ეკონომიკურ სტაბილურობასა და ინდივიდებისა და თემის საერთო კეთილდღეობაზე. ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოიცავს ხარისხიან ჯანდაცვის სერვისებზე წვდომას, დაავადებების ეფექტიან პრევენციას და კონტროლს და ჯანმრთელობის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების უნარს. აღნიშნულ თავში განხილულია, თუ როგორ აღიქვამს მოსახლეობა ჯანმრთელობის უსაფრთხოების საკითხს, აფასებს ჯანმრთელობის ძირითად საფრთხეებს და იკვლევს, თუ როგორ უმკლავდებიან და აგვარებენ ადამიანები ჯანმრთელობის პრობლემებს, ამ უკანასკნელის გაუარესების შემთხვევაში. ხსენებულ ფაქტორთა გაცნობიერება გადამწყვეტია ჯანმრთელობის უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად და თემის მდგრადობის გასაძლიერებლად სტრატეგიების შესამუშავებლად.

2.6.1. ჯანმრთელობის უსაფრთხოების შეფასება

რაოდენობრივ კვლევაში რესპონდენტთა უმრავლესობამ (45.7%) ხუთქულიან სკალაზე თავისი ჯანმრთელობის უსაფრთხოება საშუალო დონით შეაფასა (იხილეთ დიაგრამა №10). ეს მოსახლეობაში ჯანმრთელობის უსაფრთხოების ზომიერ აღქმაზე მიუთითებს. გარდა ამისა, 26.3%-მა თავისი ჯანმრთელობის უსაფრთხოება 4 ქულით შეაფასა - ესე იგი რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი თავს შედარებით დაცულად გრძნობს ჯანმრთელობის მხრივ. თუმცა, მხოლოდ მცირე ნაწილმა (5.3%) აღნიშნა ჯანმრთელობის ძალიან მაღალი უსაფრთხოება, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ მცირე ნაწილი გრძნობს თავს სრულიად უსაფრთხოდ ჯანმრთელობის დაცვის ზომებთან მიმართებით.

სპექტრის დაბალ ნაწილში რესპონდენტთა 6.2%-მა ჯანმრთელობის უსაფრთხოება ყველაზე დაბალ დონეზე (1 ქულა) შეაფასა, ხოლო 16.4%-მა 2 ქულა მონიშნა. ეს ციფრები ხაზს უსვამს, რომ მოსახლეობის თითქმის მეოთხედი ჯანმრთელობის უსაფრთხოების მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, რაც პრობლემების გადასაჭრელად მიზნობრივი ჩარევების საჭიროებას მოითხოვს.

ჯანმრთელობის უსაფრთხოების დონის შეფასება



დიაგრამა №10

2.6.2. ჯანმრთელობის უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევები

კვლევამ ყველაზე მწვავე პრობლემად **„მედიკამენტების მაღალი ფასები“** გამოჰყო, რაც რესპონდენტთა 73.4%-მა დაასახელა (იხილეთ დიაგრამა №11). მსგავსი მაღალი მაჩვენებელი ხაზს უსვამს მნიშვნელოვან ფინანსურ ბარიერს, რომელსაც მედიკამენტების ღირებულება უქმნის დაავადებების ეფექტიან მართვას და, ზოგადად, ჯანმრთელობის შენარჩუნებას. აუცილებელი მედიკამენტების შეძენის შეუძლებლობამ შეიძლება ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება და სიკვდილიანობის მაჩვენებლის ზრდა გამოიწვიოს. ასევე, რესპონდენტთა 64.1%-მა აღნიშნა, რომ **სამედიცინო მომსახურების მაღალი ღირებულება მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს** მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოებისთვის. ჯანდაცვის სერვისების ფინანსურმა ტვირთმა შეიძლება ხელი შეუშალოს ადამიანებს დროული და ადეკვატური სამედიცინო დახმარების მიღებაში, რაც ამწვავებს ჯანმრთელობის პრობლემებს და იწვევს მძიმე შედეგებს. **დაბალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება** საფრთხედ დაასახელა რესპონდენტთა 31.2%-მა, რაც სამედიცინო მომსახურების სტანდარტით უკმაყოფილებას ასახავს. აღნიშნულმა პრობლემამ შეიძლება შეარყიოს ნდობა ჯანდაცვის სისტემების მიმართ და ხელი შეუშალოს ადამიანებს სამედიცინო დახმარების ძიებაში. **უფასო სამედიცინო გამოკვლევების არარსებობას** საფრთხედ მიიჩნევს რესპონ-

დენტთა 31.3%. ჯანმრთელობის რეგულარული დიაგნოსტირება გადამწყვეტია დაავადებების ადრეული გამოვლენისა და მკურნალობისთვის და მისმა არარსებობამ შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობის ის პრობლემები, რომლებიც დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გარეშე დარჩენას უკავშირდება.

მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა (27%) პრობლემად დაასახელა **არასათანადო ინფორმაცია უფასო ჯანდაცვის პროგრამების შესახებ**. ინფორმაციის ნაკლებობამ შეიძლება ხელი შეუშალოს ადამიანებს ხელმისაწვდომი ჯანდაცვის სერვისებისა და სარგებლის მიღებაში, რაც კიდევ უფრო აზიანებს მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოებას. **გარემო ფაქტორებიც** თავის როლს ასრულებს ჯანმრთელობის უსაფრთხოების საკითხში, რესპონდენტთა დაახლოებით 16.4% დაბინძურებულ გარემოს თავისი ჯანმრთელობისთვის საფრთხედ მიიჩნევს. დამაბინძურებლების ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა პრობლემა, მათ შორის რესპირატორული და გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, რაც ხაზს უსვამს გარემოს დაბინძურების კონტროლის უფრო მკაცრი ზომების და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინიციატივების გაუმჯობესების აუცილებლობას. **პირველადი ამბულატორიული სამედიცინო პუნქტების არასაკმარისი რაოდენობა** (10.7%) განსაკუთრებით აღნიშნა კონფლიქტის გამყოფ ხაზთან და სოფლად მცხოვრებმა მოსახლეობამ. პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებზე შეზღუდულმა წვდომამ შეიძლება გამოიწვიოს დაგვიანებული მკურნალობა და გააუარესოს ჯანმრთელობის მდგომარეობა. სხვა პრობლემები მოიცავს **რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ დაბალ ცნობიერებას** (9.8%). ამ რესპონდენტთა უმრავლესობა ქალია. **მენტალური და ფსიქოლოგიური სერვისების ნაკლები ხელმისაწვდომობა** (9.5%) ასევე მნიშვნელოვანი საკითხია, რაც ფსიქიკური ჯანმრთელობის ჯანმრთელობის უსაფრთხოების მნიშვნელოვან კომპონენტად აღიარების მაჩვენებელია. და ბოლოს, **სუფთა სასმელ წყალზე შეზღუდული წვდომა** (3.5%) და **საცხოვრებლის ცუდი სანიტარული პირობები** (3.7%) ასევე დასახელდა ჯანმრთელობის უსაფრთხოების გამოწვევებად.

ჯანმრთელობის უსაფრთხოების მთავარი გამოწვევები



დიაგრამა №11

ჯანმრთელობის გაუარესების მართვა: მეთოდები და გამოწვევები

ჯანმრთელობის პრობლემების წინაშე აღმოჩენილი რესპონდენტები სხვადასხვა მეთოდს იყენებენ ჯანდაცვის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. უმრავლესობა, 43.3%, **საკუთარი სახსრებით ფარავს ჯანდაცვის ხარჯებს**, რაც პირად დანაზოგებსა და შემოსავალზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულების მაჩვენებელია. ეს მიუთითებს ჯანდაცვის ხარჯების ფინანსურ ტვირთზე, რამაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური სირთულეები და აუცილებელ სამედიცინო სერვისებზე შეზღუდული წვდომა და საბოლოოდ ნეგატიურ გავლენას მოახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე.

რესპონდენტთა 27.3% აღნიშნავს, რომ მკურნალობის ხარჯების დაფარვაში **საყოველთაო ჯანდაცვა ეხმარება**, რაც, ბუნებრივია, მათზე ფინანსურ წნეხს ამცირებს. თუმცა, საგულისხმოა, რომ რესპონდენტთა 16.1% ხაზს უსვამს, რომ ჯანმრთელობის პრობლემების დროს **სახლში თვითმკურნალობას** მიმართავს, რაც ხშირ შემთხვევაში - სიღარიბით და სამედიცინო სერვისებზე შეზღუდული წვდომით არის განპირობებული. ეს სარისკო პრაქტიკა პირდაპირ მიუთითებს ხელმისაწვდომი და იაფი ჯანდაცვის აუცილებლობაზე, სათანადო სამედიცინო ზედამხედველობისა და მკურნალობის უზრუნველსაყოფად.

რესპონდენტთა მხოლოდ 8.7% **იყენებს კერძო დაზღვევას**, რაც ჯანმრთელობის კერძო დაზღვევაზე შეზღუდულ (მათ შორის, ფინანსურად შეზღუდულ) ხელმისაწვდომობაზე მეტყველებს. მცირე ნაწილი, 2.8%, მიმართავს ალტერნატიულ მედიცინას, **რაც არატრადიციული მკურნალობის მეთოდებზე დაყრდნობის მაჩვენებელია**. კიდევ უფრო მცირე ჯგუფი, 1.6%, **სამედიცინო მომსახურებას საზღვარგარეთ ეძიებს**, რაც იმას ნიშნავს, რომ საზღვარგარეთ ჯანდაცვაზე წვდომა ადამიანთა უმეტესობისათვის შეუძლებელია.

თვისებრივი მონაცემები მუნიციპალიტეტების მიხედვით:

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი: წალენჯიხის მუნიციპალიტეტში აფთიაქების ნაკლებობა მნიშვნელოვანი პრობლემაა, რაც აიძულებს მოსახლეობას, მედიკამენტებისთვის ზუგდიდში ან წალენჯიხაში გაემგზავრონ. ეს განსაკუთრებით რთულია იმათთვის, ვინც ხელმისაწვდომი წამლების სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობს, რადგან ტრანსპორტირება კვლავ ბარიერად რჩება. ქრონიკულად დაავადებულთათვის, პენსიონერებისა და სოციალურად დაუცველთათვის იაფი წამლების ხელმისაწვდომობის მიუხედავად, მედიკამენტებზე დროული წვდომა გართულებულია ტრანსპორტირების პრობლემების გამო - ***„მოქალაქეები აქაც აწყდებიან პრობლემას. გვაქვს კარგი პროგრამა ქრონიკულად დაავადებულთათვის, პენსიონერებისა და სოციალურად დაუცველთათვის, ისინი უფასოდ იღებენ დანიშნულ წამლებს, მაგრამ ასევე სჭირდებათ ტრანსპორტირება მათ წამოსაღებად. თუ დანიშნულ წამალს დროულად ვერ მიიღებენ, რეცეპტს ათი დღის შემდეგ ვადა გაუვა.“*** - ნ. გ., სოფლის ექიმი, ქალი, ფახულანი.

სტომატოლოგიური მომსახურება ასევე მიუწვდომელია, რაც თემის ჯანმრთელობის პრობლემათა ტვირთს ამძიმებს. **მედიკამენტების მაღალი ფასები** კვლავ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. რესპონდენტები გამოსავალს ფასების ზღვარის რეგულირებასა და კონტროლში ხედავენ. მართალია, კმაყოფილება შეინიშნება ამბულატორიული მომსახურებით და სოფლის ექიმების კვალიფიკაციით, მაგრამ კლინიკებთან ფიზიკური სიშორე სერიოზულ პრობლემებს ქმნის, განსაკუთრებით გადაუდებელ შემთხვევებში ან ლოგინად ჩავარდნილი პაციენტებისთვის. **კონფლიქტის გამყოფ ხაზთან სიახლოვე ზრდის სოციალურ დატვირთვას ამ კლინიკებზე** - ***„ამბულატორია ასევე ემსახურება პაციენტებს, რომლებიც აფხაზეთიდან, კერძოდ, საბერიოდან გადმოდიან. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ამბულატორიას ჰქონდეს უფრო მეტი სამედიცინო მომსახურების გაწევის შესაძლებლობა.“*** - ნ. გ., სოფლის ექიმი, ქალი, ფახულანი. კონფლიქტის გამყოფ ზოლში მცხოვრე-

ბი ქალი აღნიშნავს: *„ჩვენ ვცხოვრობთ კონფლიქტის გამყოფი ხაზის სიახლოვეს და ჩვენი თემისთვის არსებითია პირველადი დახმარების სერვისების არსებობა. თუ მოხერხდებოდა, რომ გადაუდებელ სიტუაციაში მყოფი პირები ღამით დარჩენილიყვნენ და საჭირო დახმარება მიეღოთ, ეს ძალიან სასარგებლო იქნებოდა.“* - ხ. გ., დევნილი, 31 წლის, ქალი, გალის რაიონის სოფელი საბერიო, უმუშევარი, სოციალურად დაუცველი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი: ზუგდიდში ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობაზე ძირითად გავლენას მოსახლეობის ფინანსური მდგომარეობა ახდენს - მედიკამენტების და მომსახურების მაღალი ფასები ხელს უშლის დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების მიღებას. ეკონომიკური ბარიერი ხშირად აიძულებს მოსახლეობას, თავი შეიკავოს სამედიცინო დახმარების ძიებისგან, სანამ ეს აბსოლუტურად აუცილებელი არ გახდება, რამაც შეიძლება გაამწვავოს ჯანმრთელობის პრობლემები - *„ხალხს ფული არ აქვს. სანამ ადამიანი არ დაეცემა და საჭირო არ გახდება სასწრაფოთი გადაყვანა, ვერ მიდის ექიმთან ფინანსური სახსრების უქონლობის გამო. შემდეგი პრობლემაა ძალიან მაღალი ფასები წამლებზე, რის გამოც სრული მკურნალობის საშუალება არ აქვთ.“* - ნ. ტ., ქალი, 44 წლის, სოფელი ცაცხვი, საჯარო მოხელე. **ზუგდიდის ბევრ სოფელში არ არის აფთიაქი და ამბულატორია,** რაც ართულებს მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით ხანდაზმულებისა და ტრანსპორტის არმქონეთათვის, აუცილებელ სამედიცინო სერვისებზე წვდომას - *„ადგილზე არ არის აფთიაქები, ამიტომ პენსიონერს ან ხანდაზმულ ადამიანს არ შეუძლია წავიდეს და წამალი იყიდოს. ასევე არ არის ამბულატორიები, მაგალითად, სოფელ ცაცხვს არ აქვს საკუთარი ამბულატორია.“* - ნ. ტ., 44 წლის, ქალი, სოფელი ცაცხვი, საჯარო მოხელე.

ამ გამოწვევების მიუხედავად, რესპონდენტებმა დაასახელეს **გარკვეული დადებითი ასპექტები - ფარისებრი ჯირკვლის უფასო გამოკვლევის პროგრამებისა და სხვა სკრინინგ პროგრამების ხელმისაწვდომობა ისეთი დაავადებებისთვის, როგორებიცაა საშვილოსნოს ყელის და ძუძუს კიბოს, სწორი ნაწლავის და პროსტატის სკრინინგი და C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამები**. თუმცა, მომსახურების საერთო ხარისხი კვლავ დაბალია, არის შეუსაბამობები ადგილობრივად ჩატარებულ დიაგნოსტიკურ ტესტებსა და უფრო განვითარებულ ან უკეთ აღჭურვილ სამედიცინო ცენტრებში ჩატარებულ ტესტებს შორის - *„ხშირად ადგილზე ჩატარებული ანალიზები არ ემთხვევა უფრო ძვირადღირებულ გამოკვლევებს.“* - ნ. ტ., 44 წლის, ქალი, სოფელი ცაცხვი, საჯარო მოხელე.

ჯანდაცვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია **სოფლებში ექიმების შტატის გაფართოება და ამბულატორიებში პირველადი მოხმარების უფასო მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა** - *„მისასალმებელია, რომ სოფელში შენდება ამბულატორია, თუმცა ოჯახის ექიმის ინსტიტუტი მოითხოვს სოფლის მცხოვრებლებზე მეტად მორგებას. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სოფლებში ექიმების ადგილზე დასაქმება. არ არის საკმარისი მხოლოდ ორი ან სამი დღით მათი მივლინება სოფლის ამბულატორიებში. რაც ყველაზე მთავარია, პირველადი მოხმარების მედიკამენტები უფასოდ უნდა იყოს ამბულატორიებში და უნდა იყოს ხელმისაწვდომი მოსახლეობისთვის.“* - ზ. გ., საჯარო მოხელე, სოფელი კოკი.

მოსახლეობის აზრით, მნიშვნელოვანია რეგულირების გაუმჯობესება მედიკამენტებზე ფასების გასაკონტროლებლად და სამედიცინო ბაზრის მონოპოლიზაციის გასანეიტრალებლად. დადებითად შეფასდა სახელმწიფო მედიკამენტების პროგრამა, რომელმაც მნიშვნელოვან მედიკამენტებზე წვდომა ბევრი ადამიანისთვის გაზარდა. თუმცა, ჯანდაცვაზე წვდომის და ხარისხის გაუმჯობესების საჭიროება კვლავ აქტუალურ საკითხად რჩება თემის ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

სენაკის მუნიციპალიტეტი: სენაკის მოსახლეობას უჭირს მაღალ სამედიცინო ხარჯებთან გამკლავება, რაც ხშირად იწვევს თვითმკურნალობას ან შემდგომი კონსულტაციებისგან თავის შეკავებას. პირველადი ამბულატორიების არარსებობა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ცნობიერების ნაკლებობა კიდევ უფრო ამძაფრებს ამ პრობლემებს.

მიუხედავად იმისა, რომ პენსიონერებისთვის ხელმისაწვდომია იაფი მედიკამენტები, ბევრი აუცილებელი მედიკამენტი არ არის ჩართული ამ პროგრამებში. ერთ-ერთი იმედგაცრუებული რესპონდენტის თქმით: ***„პენსიონერებისთვის ხელმისაწვდომი მედიკამენტების სია შეზღუდულია და მედიკამენტები, რომლებიც მე მჭირდება, ჩამონათვალში არ არის. ეს სერიოზული პრობლემაა ბევრი ჩემნაირისთვის."*** - ს. ნ., 66 წლის, იძულებით გადაადგილებული პირი, პენსიონერი. რესპონდენტები ასევე საუბრობდნენ **სამედიცინო კვლევების მიმართ უნდობლობაზე:** ***„არ უნდა გვიწევდეს სხვა ქვეყანაში წასვლა სწორი დიაგნოზის დასადგენად. ბევრი ადამიანი თავს არიდებს ექიმთან მისვლას, რადგან არ არის ნდობა; ეს სფერო ბიზნესად იქცა."*** - მ. ჯ., 41 წლის, ქალი, სოციალურად დაუცველი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი: წყალტუბოს მოსახლეობას ასევე აწუხებს სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტებზე შეუსაბამოდ მაღალი ფასები, რამაც შესაძლოა შეაფერხოს პაციენტის სრული მკურნალობის მიღება, ან შეზღუდოს ჯანდაცვაზე დროული წვდომა. ეს მნიშვნელოვნად ზრდის ჯანმრთელობის რისკებს - ***„სამედიცინო მომსახურება ძალიან ძვირია. ექიმთან ერთი ვიზიტი 50 ლარიდან იწყება. თუ ფული არ გაქვს, არავინ მიგიღებს."*** - მ. ა., 64 წლის, ქალი, პენსიონერი, სოციალურად დაუცველი.

ასევე ხაზი გაესვა პენსიონერებისთვის უფასო დიაგნოსტიკური სერვისების მიწოდების საჭიროებას და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ჯანდაცვის პროგრამების გაუმჯობესების აუცილებლობას მოწყვლადი მოსახლეობის დასახმარებლად: ***„გამოკვლევები პენსიონერებს უფასოდ უნდა ჰქონდეთ. წელიწადში ერთხელ გამოკვლევა რომ შეეძლოთ, ეს ძალიან კარგი შეღავათი იქნებოდა მათთვის. პენსია ხომ ასე ცოტაა და მარტო წამლებით ხომ არ გამოიკვებავენ თავს. მერიას არაფერი არა აქვს მსგავსი, რომ დაგეხმაროს, ამის საჭიროება ნამდვილად არსებობს."*** - თ. ლ., 38 წლის, ქალი, თვითდასაქმებული.

ხონის მუნიციპალიტეტი: ხონში ჯანმრთელობის უსაფრთხოების რისკებად სამედიცინო მომსახურების მაღალი ფასი და დაბალი ხარისხი, არასაკმარისი სააფთიაქო მომსახურება და პროფესიონალი სამედიცინო პერსონალის ნაკლებობა დასახელდა. მოსახლეობის აზრით, **ადგილობრივი კლინიკების შემოფარგვლა მხოლოდ პირველადი დახმარების გაწევით, მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას** - ***„ხონში ყველაზე დიდი პრობლემაა ის, რომ საავადმყოფო შეზღუდულია პირველადი დახმარების ფუნქციებით, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას".*** - ვ. ბ., მასწავლებელი, საჯარო სკოლის დირექტორი. სრულად ფუნქციონირებადი საავადმყოფოს საჭიროება, რომელიც ყოვლისმომცველ სამედიცინო მომსახურებას გაუწევს მოსახლეობას, უაღრესად აქტუალურია თემის ჯანმრთელობის უსაფრთხოების უკეთ უზრუნველსაყოფად.

ქუთაისის მუნიციპალიტეტი: ქუთაისის ჯანდაცვის სისტემაში არსებულ გამოწვევათა შორის გამოიკვეთა სამედიცინო მომსახურების დაბალი ხარისხი, ხშირად არასწორად დასმული დიაგნოზი და მედიკამენტებზე მაღალი ფასები. რესპონდენტების **წუხილს ასევე ექიმებსა და ფარმაცევტულ კომპანიებს შორის სავარაუდო კავშირი იწვევს, რაც ხშირად პირადი გამორჩენის მიზნით ფარმაკომპანიასთან აფილირებული მედპერსონალის მხრიდან პაციენტისთვის არამიზნობრივი დანიშნულებების გამოწერაში გამოიხატება.** ყოველივე ეს მნიშვნელოვნად აზიანებს ჯანდაცვის მიმწოდებლების მიმართ ნდობას - ***„ქუთაისში სამედიცინო სერვისი არის ნული. ვხარჯავ თანხებს, ვყიდულობ მედიკამენტებს, რომლებიც შემდეგ აღმოჩნდება, რომ თურმე სულ არ გჭირდება, ან სხვა ჯანმრთელობის პრობლემისთვის არის განკუთვნილი. ამიტომ მიწევს დედაქალაქში წასვლა. ქუთაისთან შედარებით თბილისში უკეთესი სამედიცინო მომსახურებაა - დიაგნოზს მაინც დაგისვამენ ზუსტად, ხოლო ჩვენთან, ქუთაისში, ელემენტარული სისხლის საერთო ანალიზი რომ გაიკეთო, საერთოდ სხვა მონაცემი უჩვენებია."*** - ს. ს., 28 წლის, ქალი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ქალთა უფლებადამცველი. აღნიშნული პრობლემები ხაზს უსვამს

სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების, უკეთესი დიაგნოსტიკური სიზუსტის და სამართლიანი ფარმაცევტული პრაქტიკის გადაუდებელ საჭიროებას ჯანმრთელობის უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად.

2.7. საზოგადოებრივი უსაფრთხოება

საზოგადოებრივი უსაფრთხოება ადამიანის უსაფრთხოების ფუნდამენტური ასპექტია, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს ინდივიდების და საზოგადოების ცხოვრების ხარისხსა და საერთო კეთილდღეობაზე. ის დანაშაულის, ძალადობის, სოციალური არეულობისა და იმ სხვა საფრთხეებისგან დაცვას გულისხმობს, რომლებმაც შეიძლება ყოველდღიური ცხოვრება შეაფერხოს და შიშისა და არასტაბილურობის განცდა შექმნას. ეფექტური საზოგადოებრივი უსაფრთხოება ხელს უწყობს უსაფრთხო გარემოს შექმნას, სადაც ადამიანებს თავისუფლად შეუძლიათ თავიანთი ეკონომიკური, სოციალური და პირადი მიზნების განხორციელება. ეს თავი ხუთქულიანი სკალის გამოყენებით აფასებს საჯარო უსაფრთხოების თაობაზე საზოგადოებრივ წარმოდგენებს და დღევანდელ დღეს მათი უსაფრთხოების ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევებს გამოკვეთს. ამ პრობლემების გადაჭრა აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების გასაუმჯობესებელი ეფექტური სტრატეგიების შესამუშავებლად და უფრო დაცული და მდგრადი საზოგადოების უზრუნველსაყოფად.

2.7.1. საზოგადოებრივი უსაფრთხოების დონის შეფასება

რაოდენობრივი მონაცემები აჩვენებს, რომ მოსახლეობის აღქმა საზოგადოებრივი უსაფრთხოების შესახებ ზოგადად ზომიერია, რესპონდენტთა 44.3% თავის უსაფრთხოებას საშუალო დონეზე აფასებს (3 ქულა ხუთქულიან სკალაზე). მნიშვნელოვანი ნაწილი (31.1%) შედარებით მეტად უსაფრთხოდ გრძნობს თავს - 4 ქულა, ხოლო მცირე ჯგუფი (4,6%), თავს ძალიან უსაფრთხოდ გრძნობს და 5 ქულით აფასებს თავის უსაფრთხოებას. ძალიან მაღალ საფრთხეს გრძნობს რესპონდენტთა 20% და თავის უსაფრთხოებას 1 და 2 ქულით აფასებს (იხილეთ დიაგრამა №12).

ამ კრებსითი სურათის მიუხედავად, საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და საზოგადოების საერთო უსაფრთხოების განცდაზე მნიშვნელოვან გავლენას უფრო ღრმა პრობლემები და საფრთხეებიც ახდენს.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების დონის შეფასება



დიაგრამა №12

2.7.2. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მთავარი გამოწვევები

მოსახლეობის მიერ გამოვლენილ ყველაზე მწვავე საფრთხეებს შორისაა **კრიმინალის ზრდა**, რომელსაც **რესპონდენტთა 46.9%** უსვამს ხაზს. ეს პრობლემა მიუთითებს სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის გაძლიერებასა და საზოგადოებრივი პოლიციის საჭიროებაზე მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესება საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ადამიანის სიცოცხლეს, არამედ მნიშვნელოვნად აქვეითებს ნდობას საჯარო ინსტიტუტების მიმართ, რაც შიშისა და გაურკვევლობის ატმოსფეროს ქმნის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც **რესპონდენტთა 41.6%** აღნიშნავს, არის **ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის მაღალი დონე**. აღნიშნული პრობლემა ხელს უწყობს არა მხოლოდ დანაშაულის ზრდას, არამედ საფრთხეს უქმნის საზოგადოების სოციალურ სტრუქტურასა და ჯანმრთელობას. რესპონდენტთა 26.8% შეშფოთებას გამოხატავს **„კონფლიქტების/საომარი მოქმედებების შესაძლო ესკალაციის“** გამო. ეს შიში უმეტესწილად გამძაფრებულია არსებული პოლიტიკური კლიმატით, რომელიც გამოიხატება საზოგადოების წინააღმდეგობით მმართველი პოლიტიკური პარტიის მიერ გატარებული ანტიდემოკრატიული ზომების მიმართ, როგორიცაა ქალთა კვოტების გაუქმება, „უცხოელი აგენტების“ - ე.წ. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ კანონის მიღება, მთავრობის ანტიდასავლური პროპაგანდა და ევროპული ტრაექტორიიდან გადახვევა. გარდა ამისა, მთავრობის მიერ გლობალური ომის ნარატივის ხშირი გამოყენება და მუდმივი განცხადებები, რომ მათ ქვეყანა ომს გადაარჩინეს, კიდევ უფრო ამძაფრებს ამ შიშებს. ეს რიტორიკა ხელს უწყობს დაძაბული და არასტაბილური გარემოს შექმნას, ზრდის საზოგადოების შფოთვას და ქმნის მოახლოებული კონფლიქტის შეგრძნებას. საფრთხეებზე მუდმივი ხაზგასმა და მთავრობის წარმოჩენა ომის წინააღმდეგ ბასტიონად არა მხოლოდ აღვივებს შიშს მოსახლეობაში, არამედ ახდენს საზოგადოების პოლარიზებას, აღრმავებს განხეთქილებას და ქმნის გაურკვევლობისა და უნდობლობის ატმოსფეროს. საზოგადოებაში **შეუწყნარებლობასა და აგრესიას** ასევე პრობლემურად მიიჩნევს **რესპონდენტთა 26.8%**. პოლიტიკური პოლარიზაცია, შეუწყნარებლობა და დაძაბულობის მაღალი დონე მიუთითებს საზოგადოებაზე, რომელშიც ჭარბობს ღრმა განხეთქილება. მთავრობის ბოლოდროინდელმა ქმედებებმა და პოლიტიკურმა კლიმატმა ეს შიშები კიდევ უფრო გააძლიერა, რაც საზოგადოებრივი დაძაბულობის გაზრდას და დაუცველობის ყოვლისმომცველ განცდას იწვევს (იხ. დიაგრამა №13).

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მთავარი გამოწვევები



დიაგრამა №13

საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვისებრივი მონაცემების ანალიზი

თვისებრივი მონაცემების შედეგების თანახმად, ყველა მუნიციპალიტეტში **ალკოჰოლიზმი და ნარკომანია** ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებული საფრთხედ მიიჩნევა, რომელიც დანაშაულის ზრდას და საზოგადოებაში აგრესიის გაძლიერებას იწვევს. რესპონდენტები ხაზგასმით მიუთითებენ აღნიშნულ პრობლემაზე, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი: თვისებრივი კვლევის თანახმად, წალენჯიხაში რესპონდენტებისთვის მთავარ პრობლემებს შორისაა **ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის მასშტაბები და დანაშაულის ზრდა**. კვლევის მონაწილეთა მტკიცებით, ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა ნარკოტიკებზე და ალკოჰოლზე დამოკიდებულ ადამიანთა რიცხვი, რაც სერიოზულ შეშფოთებას იწვევს საზოგადოებაში - ***„საშინელებები ხდება ახალგაზრდებში, ხელი მიუწვდებათ ნებისმიერ ნარკოტიკულ საშუალებაზე ძალიან მარტივად და როგორ გინდა, ადამიანი ასეთ გარემოში თავს დაცულად გრძნობდე?“*** - გ. შ., 20 წლის, კაცი, სტუდენტი, დევნილი.

„ბევრმა ახალგაზრდამ დაკარგა ჯანმრთელობა ალკოჰოლიზმის გამო, რომელიც ასევე აგრესიის ზრდას და ოჯახურ კონფლიქტებს იწვევს.“ - ნ. გ., სოფლის ექიმი, ფახულანი.

კონფლიქტის გამყოფ ხაზთან სიახლოვე და მუდმივი დაძაბულობა, რასაც ეს სიტუაცია ქმნის, ასევე ნეგატიურ გავლენას ახდენს საზოგადოებრივ კლიმატზე - ***„რადგან ჩვენი სოფელი კონფლიქტის ზონასთან ახლოსაა, ყოველთვის არსებობს დაპირისპირების რისკი. პერიოდულად ემოციური ფონი მაღალია და გამყოფ ხაზთან ახლოს მცხოვრები ოჯახები ცდილობენ გადასახლებას, თუ ეს შესაძლებელია.“*** - თ. ჩ., 49 წლის, ქალი, მასწავლებელი.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების საკითხების განხილვისას ხაზგასმული იყო ადგილობრივი პრობლემები, როგორიცაა **ძველი ხეები**, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მოქალაქეების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას - ***„ქუჩაში ბევრი ძველი ხეა ზედაპირზე ამოჩრილი ფესვებით. ადრე, ქარიშხალის დროს, მსგავსი ხეები წაიქცა და ქუჩების პარალიზება გამოიწვია.“*** - ი. ს., ქალი, 52 წლის, მასწავლებელი, სოფელი ლია.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი: კონფლიქტის ზონასთან სიახლოვის გამო, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი საზოგადოებრივი უსაფრთხოების გაზრდილი რისკების წინაშე დგას, რაც კვლევაში მონაწილე ცალკეული პირისთვის **კონტრაბანდის, კრიმინალური საქმიანობისა და ტერორისტული აქტების** მიმართ შიშს იწვევს - ***„ჩემი თემის საზოგადოებრივი უსაფრთხოების რისკი მაღალია, რადგან სოფელი ესაზღვრება აფხაზეთის ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის გამყოფ ხაზს. ამიტომ არსებობს რისკი, რომ ის არ გახდეს კონტრაბანდის, კრიმინალური დაჯგუფებების საქმიანობის, ტერორისტული აქტებისა და ნარკოტიკების ტრანზიტის ადგილი,“*** - აღნიშნა ზ. გ.-მ, საჯარო მოხელე, სოფ. კოკი. **კრიმინალის ზრდა, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია** და **სოციალური შეუწყნარებლობა** ასევე მნიშვნელოვან პრობლემად მიიჩნევა მოსახლეობაში. რესპონდენტები მიუთითებენ, რომ უმუშევრობა დაკავშირებულია უსაქმურობასთან და ნივთიერებების ბოროტად გამოყენებასთან, რაც იწვევს ოჯახურ ძალადობას და მაღალ აგრესიას - ***„სამუშაო ადგილების სიმცირის გამო, სოფლის ახალგაზრდებში გავრცელებულია ალკოჰოლიზმი და ნარკომანიაც კი. ეს უკანასკნელი მცირე დოზითაა, მაგრამ მაინც პრობლემაა. შედეგად გვაქვს ოჯახში ძალადობის შემთხვევები, აგრესიის მაღალი გამოვლინება, რასაც სავალალო შედეგებამდე მივყავართ,“*** - ნ. ფ., 38 წლის, ქალი, სოფ. დიდი ნეძი.

მაწანწალა ძაღლების თავდასხმები მოსახლეობასა და მოსწავლეებზე ასევე გამოწვევას წარმოადგენს უსაფრთხოებისათვის.

სენაკის მუნიციპალიტეტი: სენაკელი რესპონდენტები დანაშაულის ზრდას აღიქვამენ მნიშვნელოვან საფრთხედ და აქ ხშირად ზოგადეროვნულ ვითარებას გულისხმობენ და არა მხოლოდ ადგილობრივ შემთხვევებს - ***„დანაშაული გაიზარდა და ამის შესახებ ტელევიზიით გვესმის. საშინელი ინფორმაცია მოდის, ვიღაც მოკლეს, გააუპატიურეს. ჩემი შვილი სტუდენტია თბილისში. ასეთ დროს მეშინია, ვღელავ, ჩემს შვილს წარმოვიდგენ მოკლულის ადგილას, ცუდზე ვფიქრობ,“*** - მ. ლ., 54 წლის, სამი შვილის დედა.

გარდა ამისა, მოსახლეობა მღელვარებას გამოხატავს **საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გახშირებული შემთხვევების** გამო, რაც გამოიხატება ავტოავარიებში და მის შედეგად დაღუპული ადამიანების გაზრდილ რაოდენობაში.

„საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი საგზაო სიკვდილიანობის მაჩვენებელი აქვს ევროპაში. მუდმივად მეშინია. მეშინია, როცა ჩემი შვილი სკოლაში მიდის, როცა ჩემი ქმარი სამსახურში მიდის მანქანით, მაინც მეშინია. მეშინია მანქანის მართვის. ამდენი ავარია მაშინებს, გამაგიჟებს, საშინელი სტრესი მაქვს. ვერ ვხვდები, რატომ არ შეიძლება ამის მოწესრიგება.“ - მ. ზ., 62 წლის, ქალი, ადგილობრივი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი: წყალტუბოში **ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის** მაღალი დონე, განსაკუთრებით მოზარდებში, დასახელდა როგორც მთავარი საფრთხე - ***„არც მშობელმა და არც შვილმა არ იცის, რას იწვევს მარიხუანა. ამბობენ, რომ „რაღაც ბალახს“ ეწევიან, თითქოს მართლა უვნებელ ბალახთან გვქონდეს საქმე. წარმოდგენა არ გაქვთ, რა ზიანს აყენებს ეს ბალახი ადამიანების გონებას.“*** - მ. დ., 62 წლის, ექიმი. ახალგაზრდებში მარიხუანას მოხმარება გავრცელებული პრობლემაა, რაც სერიოზულ შეშფოთებას იწვევს როგორც მშობლებში, ასევე მასწავლებლებში.

რესპონდენტთა დიდი ნაწილი ხაზს უსვამდა, რომ დაუცველობის განცდას ამძაფრებს **დანაშაულის ზრდა, სოციალური შეუწყნარებლობა, საზოგადოებაში არსებული დაპირისპირება და პოლიტიკური პოლარიზაცია** - ***„პოლიტიკური პოლარიზაცია მაშინებს,“*** - აღნიშნა ერთ-ერთმა რესპონდენტმა.

საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, გაუმართავი საზოგადოებრივი ტრანსპორტი ასევე დასახელდა, როგორც მნიშვნელოვანი საფრთხე უსაფრთხოებისთვის.

ხონის მუნიციპალიტეტი: ხონის რესპონდენტებმა საზოგადოებრივი უსაფრთხოება დაბალიდან საშუალომდე შეაფასეს, მთავარ პრობლემებად კი **გაუმართავი საგზაო ინფრასტრუქტურა, გაზრდილი აგრესია და ნივთიერებების ბოროტად გამოყენება** დასახელდა. **არასათანადო ტრანსპორტი, გაუმართავი სადრენაჟე სისტემა და ძველი შენობები მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს.** რესპონდენტები აღნიშნავდნენ **მოზარდებში აგრესიის მაღალი დონეს,** რაც უმეტესწილად ოჯახურ დინამიკას - განსაკუთრებით ქალების შრომით მიგრაციას - მიეწერება, რის გამოც ბავშვები მზრუნველი გარემოს გარეშე რჩებიან.

ერთ-ერთმა რესპონდენტმა **ახალგაზრდებში ნივთიერებების ბოროტად გამოყენების პრობლემის გადაჭრის აუცილებლობას** გაუსვა ხაზი: ***„სახელმწიფომ უნდა გამოიკვლიოს ნარკომანიის და ალკოჰოლიზმის მიზეზები. მთავრობა განსხვავებულად უნდა მიუდგეს ამ საკითხს და მრავალი საკონტროლო მექანიზმი დანერგოს. თუ მოზარდი თაობა უკვე საფრთხედ იქცა, ამაში ჩვენ ყველა ინდივიდუალურად ვართ დამნაშავე.“*** - გ. ზ., 55 წლის,

კაცი, მათემატიკოსი. მსგავსი დამოკიდებულება ხაზს უსვამს ამ გამოწვევების გადასაჭრელად კოლექტიური პასუხისმგებლობის მნიშვნელობას და მოზარდებში ცნობიერების ამაღლებისა და განათლების გაზრდის აუცილებლობას მავნე ნივთიერებების გამოყენების ეფექტიანად შესამცირებლად.

ქუთაისის მუნიციპალიტეტი: ქუთაისში საზოგადოებრივი უსაფრთხოება დაბალიდან საშუალომდე ფასდება, მნიშვნელოვან შეშფოთებას კი **პოლიტიკური პოლარიზაცია, აგრესია და საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა** იწვევს.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების პრობლემებს მნიშვნელოვნად ამძაფრებს **მავნე ნივთიერებებსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული პირების დიდი რაოდენობა** და **ფსიქიკური ჯანმრთელობის არასათანადო მხარდაჭერა** - *„თავს უსაფრთხოდ არ ვგრძნობ... ძალიან ვნერვიულობ, როცა ჩემს შვილს სკოლაში ვუშვებ. ახლა 39 წლის ვარ და როცა მე ვიზრდებოდი, ყველაფერი სხვანაირად იყო. დღევანდელი ბავშვები ადვილად ექცევიან გავლენის ქვეშ და ეს თავს დაუცველად მაგრძნობინებს. ნარკოტიკის მოქმედება შეიძლება იმდენად დიდი იყოს, რომ ამის აღქმა გაძნელდეს... გარემო ნამდვილ საფრთხეს წარმოადგენს.“* - დ. დ., 39 წლის ქალი, დევნილი.

„ჩვენს ირგვლივ ბევრი ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ადამიანია, მათი მოქმედება არის უკონტროლო და აღნიშნულ პრობლემას არასათანადო ყურადღება ექცევა, რაც საფრთხეს ქმნის.“ - ფ. ხ., 52, ქალი, ადგილობრივი საჯარო მოხელე.

2.8. პირადი უსაფრთხოება

პირადი უსაფრთხოება ადამიანის უსაფრთხოების ფუნდამენტური ასპექტია, რომელიც ფოკუსირებულია ინდივიდების დაცვაზე ძალადობისგან, ადამიანის უფლებების დარღვევისგან, თავისუფლებების შეზღუდვისა და მათი კეთილდღეობის საწინააღმდეგო სხვა გამოწვევებისაგან. პირადი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია უსაფრთხო და სტაბილური გარემოს შექმნა, სადაც ინდივიდები შიშის გარეშე შეძლებენ განვითარებას. პირადი უსაფრთხოება მოიცავს ადამიანების დაცვას ფიზიკური ზიანისგან, ფსიქოლოგიური სტრესისგან და სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევებისგან, რომლებიც არღვევენ მათ ცხოვრებას და ხელს უშლიან მათი პოტენციალის რეალიზებას.

წინამდებარე თავში განხილულია მოსახლეობის მიერ პირადი უსაფრთხოების განცდის ხარისხი და მთავარი გამოწვევები, რომლებსაც ისინი ამ კუთხით აწყდებიან.

2.8.1. პირადი უსაფრთხოების დონის შეფასება

რაოდენობრივი კვლევის რესპონდენტებმა საკუთარი პირადი უსაფრთხოება, ძირითადად, ნორმალურსა და კარგს შორის შეაფასეს, უმეტესობამ თავისი უსაფრთხოების დონე 5-ქულიან სკალაზე 3 (41.2%) და 4 (33.4%) ქულით შეაფასა. მცირე ნაწილმა თავისი უსაფრთხოება შეაფასა, როგორც ძალიან კარგი (7.4%), ხოლო 16.6%-მა შემაშფოთებლად მიიჩნია და 1 ან 2 ქულით შეაფასა (იხილეთ დიაგრამა 14). ეს განაწილება მიუთითებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობა თავს შედარებით უსაფრთხოდ გრძნობს, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუცველობის საგრძნობ განცდას გამოხატავს.



დიაგრამა №14

2.8.2. პირადი უსაფრთხოების მთავარი გამოწვევები – რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები

მიგრაციის სურვილის ზრდა მნიშვნელოვან საფრთხედ მიიჩნევა 19.9%-ის მიერ (188 რესპონდენტი). ეს სურვილი შესამჩნევად განსხვავებულია გენდერული ნიშნით, 124 ქალი და 64 მამაკაცი გამოხატავს მღელვარებას ამ პრობლემის მიმართ, რაც მიუთითებს, რომ ქალები უფრო მეტად გრძნობენ მიგრაციის ვალდებულებას, ხშირად ოჯახების ეკონომიკური სიდუხჭირისგან გადასარჩენად. ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა **წალენჯიხის, წყალტუბოსა და ზუგდიდის** მუნიციპალიტეტებში, სადაც ეკონომიკური მდგომარეობა და უსაფრთხოების სხვა კომპონენტები საგრძნობლად დაქვეითებულია, რაც დაუცველობის განცდას იწვევს. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლის ექიმმა ხაზი გაუსვა მიგრაციის უარყოფით გავლენას ახალგაზრდებზე და აღნიშნა: ***„პირველ რიგში, მინდა შევეხო მიგრაციას, რომელიც ბოლო დროს თემში სულ უფრო თვალსაჩინო გახდა. როგორც ოჯახის ექიმი, მე ვურთიერთობ თითოეულ ოჯახთან და ბავშვებში აშკარად გამოხატული ფსიქოლოგიური პრობლემები შევნიშნე. ეს პრობლემები სხვადასხვანაირად ვლინდება მოზარდებში, მაგალითად, თვითიზოლაციის, აგრესიის ან დეპრესიის სახით.“*** მშობლების მიგრაცია ბავშვებს ადეკვატური ემოციური მხარდაჭერის გარეშე ტოვებს, რაც სხვადასხვა ფსიქოლოგიური პრობლემის გამომწვევია.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა (14.2%) და განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო დისკრიმინაცია (10.6%) ასევე დასახელდა უსაფრთხოების გამოწვევებად. ეს ვითარება ასახავს საზოგადოების მღელვარებას ისეთი პრობლემის მიმართ, როგორიცაა მოქალაქეების შესაძლებლობა, სარგებლობდეს სამოქალაქო თავისუფლებით და შურისძიების შიშის გარეშე აზრის თავისუფლად გამოხატვით. არსებული პოლიტიკური კლიმატი, რომელიც ანტიდემოკრატიული ზომებითა და პოლიტიკური პოლარიზაციით ხასიათდება, ამ შფოთვას კიდევ უფრო ამძაფრებს: ***„ძალიან მაწუხებს პოლიტიკური პოლარიზაცია. ამის გამო აბსურდული ზეწოლის ქვეშ ვარ. მე აპოლიტიკური პირი ვარ, განზრახ ვერიდები პოლიტიკას, რომ არავინ შევაწუხო, მაგრამ მაინც მქონდა პოლიტიკურ ნიადაგზე წამოჭრილი დასაქმების პრობლემები.“*** - საჯარო მოხელე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი. ეს ხაზს უსვამს, თუ როგორ შეიძლება იმოქმედოს პოლიტიკურმა დაძაბულობამ ადამიანების პროფესიულ და პირად ცხოვრებაზე, რაც იწვევს სოციალურ გაუცხოებას.

სამართალდამცავი ორგანოების მიმართ უნდობლობა რესპონდენტთა 13.2%-ის მიერ მნიშვნელოვან საფრთხედ სახელდება. ეს უნდობლობა ასევე აღნიშნეს ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა, რომლებმაც აღწერეს სიტუაციები, სადაც ოჯახში ძალადობის შემთხვევებში პოლიცია აგრესორის მხარეს დადგა, რამაც გამოიწვია ქალების ორმაგი ვიქტიმიზაცია და გავლენა მოახდინა მათ ნდობაზე სამართალდამცავი ორგანოების მიმართ. სიტუაციას კიდევ უფრო ამძაფრებს დანაშაულის ზრდის აღქმა და ბოლოდროინდელი პროტესტების დროს მოსახლეობის წინააღმდეგ არაპროპორციული ძალის გამოყენება. ასეთი ინციდენტები ძირს უთხრის იმ ინსტიტუტების მიმართ ნდობას, რომლებიც მოქალაქეების დაცვისთვის არიან განკუთვნილნი.

ოჯახში ძალადობა რესპონდენტთა 10.2%-ის (96 რესპონდენტი) მიერ მთავარ საფრთხედ მიიჩნევა, აქ მნიშვნელოვანია გენდერული პარამეტრი: ამას პრობლემად 71 ქალი თვლის, 25 მამაკაცთან შეფარდებით. ეს მკვეთრი განსხვავება ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ქალები უფრო მოწყვლადები არიან ოჯახური ძალადობის მიმართ და ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ და სექსუალურ ძალადობას განიცდიან საკუთარ სახლებში.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მცხოვრებმა ხაზი გაუსვა მიმდინარე გამოწვევებს: ***„შევხვედრივარ ბევრ ადამიანს, ქალბატონებს, რომლებიც ამბობდნენ, რომ არ არიან დაცულები და ხშირად არიან ოჯახური ძალადობის, გენდერული დისკრიმინაციის მსხვერპლნი.“*** ეს განცხადება ხაზს უსვამს ქალთა დაცვისა და უსაფრთხოების ნაკლებობას. ოჯახში ძალადობის გავრცელებულ პრობლემას ასევე ადასტურებს რესპონდენტი ხონიდან, რომლის თანახმად: ***„საქართველოში ყოველი მეორე ქალი ოჯახში ძალადობის მსხვერპლია. ხშირია მკვლელობის ფაქტებიც... ამ საკითხის გადასაჭრელად ისეთი პრობლემები უნდა მოვაგვაროთ, როგორებიცაა: ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, თვითრეალიზაციის ნაკლებობა, ეკონომიკური სიდუხჭირე და დამნაშავეების პასუხისმგებლობისგან თავის არიდება.“*** - ხ. ყ., 63 წლის, ფილოლოგი, ხონი.

ხონის მუნიციპალიტეტში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა პერსპექტივა ადასტურებს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების, ოჯახში ძალადობის მიმართ მოქალაქეების შეუწყნარებელი დამოკიდებულების და ცვლილების საჭიროებას: ***„მტკივნეულია, რომ რატომღაც მეზობლის სახლიდან გამოსული ქალის ტირილისა და ყვირილის ხმა ჯერ კიდევ ყოყმანის საფუძველია, ჩაერიო თუ არა. აქ აუცილებელია ცნობიერების ამაღლება, რომ რეაგირება მოვახდინოთ სწორად ნებისმიერ ჩაგვრაზე.“*** - ა. ვ., 39 წლის, კაცი, ისტორიკოსი, ფოკუს-ჯგუფის მონაწილე. ***„მხარს ვუჭერ განქორწინებას ოჯახური ძალადობის შემთხვევებში. ადრინდელი ტრადიციების მიხედვით, რაც კვლავ გრძელდება, ქალი ვალდებული იყო, ყველაფერი აეტანა და თავი მიეძღვნა ოჯახის შენარჩუნებისთვის, რაც არაჯანსაღია და საზიანოა ქალებისთვის, ბავშვებისთვის, ოჯახებისთვის და მთელი საზოგადოებისთვის.“*** - ს. ც., 49 წლის, ექიმი.

რესპონდენტებმა ხაზი გაუსვეს საზოგადოებრივი ცვლილების საჭიროებას და ქალების მეტ მხარდაჭერას ძალადობის ციკლიდან თავის დასაღწევად. მოძველებული ტრადიციების დაგმობით და საჭირო რესურსებისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფით, საზოგადოებას შეუძლია დაეხმაროს ქალებს პირადი უსაფრთხოების მიღწევაში და ხელი შეუწყოს უფრო უსაფრთხო, სტაბილური საზოგადოების შექმნას.

საერთო ანალიზი აჩვენებს, რომ პირადი უსაფრთხოების პრობლემები ღრმად არის გადაჯაჭვული სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებთან, მნიშვნელოვანი ფაქტორია გენდერული პარამეტრებიც, რომლებიც გავლენას ახდენს დაუცველობის აღქმასა და გამოცდილებაზე. საზოგადოების განათლება და ცნობიერების ამაღლება ამ გამოწვევებთან გამკლავების მთავარ საშუალებად სახელდება.



დიაგრამა №15

2.9. უსაფრთხოების გაზრდილი რისკების გავლენა მოსახლეობაზე

2.9.1. ადამიანური უსაფრთხოების გაზრდილი რისკების უარყოფითი გავლენა

ადამიანური უსაფრთხოების შემცირებულ განცდას შეიძლება ღრმა გავლენა ჰქონდეს ინდივიდებსა და საზოგადოებაზე. როდესაც ადამიანები თავს დაუცველად გრძნობენ, ეს მათ ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ახდენს გავლენას, არღვევს მათ ყოველდღიურ ცხოვრებას და ხელს უშლის განვითარებაში. ქრონიკულმა დაუცველობამ შეიძლება მომატებული სტრესი, ფსიქოლოგიური და ჯანმრთელობის პრობლემები გამოიწვიოს და, ამავდროულად, სოციალური დაძაბულობა და კონფლიქტები გაამწვავოს. ასეთ გარემოში ინდივიდებმა შეიძლება განიცადონ გაძლიერებული შიში, შფოთვა და უიმედობის განცდა, რაც კიდევ უფრო ამძიმებს უარყოფით გავლენას მათ კეთილდღეობაზე.

მონაცემთა ანალიზი:

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები ნათლად მოწმობს მოსახლეობაზე ადამიანის უსაფრთხოების გაზრდილი რისკების უარყოფით გავლენას. კითხვაზე, თუ რა გავლენას ახდენს უსაფრთხოების გაზრდილი რისკები საზოგადოებაზე, რესპონდენტთა უმრავლესობა ხაზს უსვამს **გაზრდილ სტრესს და ფსიქოლოგიურ პრობლემებს** (61.4%), რაც მიუთითებს მნიშვნელოვან ფსიქიკურ დაძაბულობასა და შფოთვაზე. **ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს** აფიქსირებს რესპონდენტთა 51.1%, რაც დაუცველობასა და ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემებს შორის არსებული პირდაპირი კავშირის აღმნიშვნელია.

ოჯახური კონფლიქტებისა და ძალადობის გაზრდილი რისკი აღნიშნა 46.9%-მა, რაც აჩვენებს, თუ როგორ ამწვავებს გარე სტრესული ფაქტორები ოჯახურ დაძაბულობას. **დაუცველობის გაზრდილი განცდა** აღნიშნა რესპონდენტთა 41%-მა, **ნიჰილიზმი და უიმედობა** დააფიქსირა 32%-მა, რაც პოტენციურად ნეგატიურ გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აქტიურობასა და ჩართულობაზე და ამცირებს მოსახლეობის ერთსულოვნებას და ერთობას. და ბოლოს, 31.1%-მა ხაზი გაუსვა **საზოგადოებრივი კონფლიქტების გაზრდილ რისკს**, რაც მიანიშნებს მოსახლეობაში სოციალური სტაბილურობის მიმართ მზარდ მღელვარებაზე.

უსაფრთხოების გაზრდილი რისკების გავლენა საზოგადოებაზე



დიაგრამა №16

2.9.2. ადამიანის უსაფრთხოების გამოწვევებზე მთავრობის რეაგირება და საზოგადოების ნდობა

ეს ქვეთავი განიხილავს მოსახლეობის ხედვას ადამიანის უსაფრთხოების რისკების მიმართ მთავრობის რეაგირებაზე და იმას, მიმართავენ თუ არა მოქალაქეები სამთავრობო უწყებებს დახმარებისთვის პრობლემების დროს.

მთავრობის რეაგირების ეფექტიანობა: მონაცემები აჩვენებს ადამიანის უსაფრთხოების საკითხების გადაჭრაში მთავრობის ეფექტიანობაზე მოსახლეობის კრიტიკულ შეხედულებას:

- **45.1%** რესპონდენტებისა სისტემას აფასებს როგორც „საშუალოდ ეფექტიანს."
- **28.4%** მიიჩნევს, რომ ის „საერთოდ არ არის ეფექტიანი."
- **21.4%**-ს უჭირს პასუხის გაცემა, რაც მიუთითებს გაურკვევლობაზე ან გაცნობიერების ნაკლებობაზე.
- მხოლოდ **5.2%** მიიჩნევს მთავრობის რეაგირებას „ეფექტიანად."

ხსენებული მონაცემები ხაზს უსვამს ზოგად უკმაყოფილებას და სკეპტიციზმს მთავრობის უნარის მიმართ, ეფექტიანად გაუმკლავდეს ადამიანის უსაფრთხოების რისკებს.

საზოგადოების ნდობა და დახმარების ძიება: მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოხატავს უნდობლობას სამთავრობო უწყებების მიმართ და კითხვაზე **„მიგიმართავთ თუ არა ხელისუფლებისთვის თქვენი პირადი ან თემის წინაშე არსებული პრობლემების გადასაჭრელად", შემდეგ პასუხებს ირჩევს**:

- რესპონდენტთა **69,7% არ მიუმართავს** მთავრობას დახმარებისთვის, ამათგან **22.8%, არ მიუმართავს, რადგან არ სჯერა, რომ მიმართვის შემთხვევაში, მათი პრობლემები გადაიჭრება ან მოგვარდება.**
- **30.4%**-ს **მიუმართავს დახმარებისთვის,** რაც აჩვენებს, რომ მოქალაქეების ნაწილი მიმართავს სამთავრობო უწყებებს, ფართოდ გავრცელებული სკეპტიციზმის მიუხედავად.

ეს მონაცემები ხაზს უსვამს საზოგადოების ნდობისა და მთავრობის რეაგირების ეფექტიანობის გაუმჯობესების საჭიროებას ადამიანური უსაფრთხოების სფეროში, რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი კვლავ თავს იკავებს სამთავრობო დახმარების ძიებისგან, აღქმული არაეფექტიანობის გამო.

დასკვნა

სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ადამიანის უსაფრთხოების შესახებ ჩატარებული ეს ყოვლისმომცველი კვლევა ავლენს მოსახლეობის უსაფრთხოების და კეთილდღეობის გრძნობის მრავალმხრივ და ნიუანსირებულ სურათს. მიგნებები მკაფიოდ მიუთითებს რთულ ურთიერთქმედებაზე ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და გარემოსდაცვით ფაქტორებს შორის, რომლებიც ერთობლივად აყალიბებენ ადამიანის უსაფრთხოებას.

ადამიანის უსაფრთხოების საკითხების ეფექტურად გადასაჭრელად საჭიროა ჰოლისტური და მრავალმხრივი მიდგომა. ეს მოიცავს სხვადასხვა აქტორის აქტიურ ჩართულობას, მათ შორის მთავრობის და შესაბამისი სამინისტროების, მუნიციპალიტეტების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (CSO) და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობას. ქვემოთ მოცემული რეკომენდაციების სია აყალიბებს მიზნობრივ სტრატეგიებს ადამიანური უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით.

რეკომენდაციები

ეკონომიკური უსაფრთხოება

- ✓ **მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა**: სასწავლო კურსების და ბიზნესის განვითარების საგრანტო პროგრამების განხორციელება, ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე განსაკუთრებული აქცენტით. ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს შექმნა, მათ შორის ბიზნესის წამოწყებიდან პირველი წლისთვის სოციალურად მოწყვლადი მოსახლეობისთვის სოციალური სტატუსის შენარჩუნება და საგადასახადო შეღავათების შემოღება, ახალი ბიზნესებისთვის ფინანსური სტიმულების შესაქმნელად;
- ✓ **საკონსულტაციო და საინფორმაციო მომსახურება**: სახელმწიფო ან ადგილობრივი ეკონომიკური პროგრამების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებისთვის და პრაქტიკული დახმარების გაწევისთვის, მუნიციპალიტეტებში საკონსულტაციო მომსახურების ცენტრების შექმნა. „ქალთა ოთახების“ როლის გაძლიერება, ინფორმაციასა და საკონსულტაციო მომსახურებებზე წვდომის უზრუნველყოფად, განსაკუთრებით - შორეულ გეოგრაფიულ არეალში მცხოვრები მოსახლეობისთვის;

- ✓ **ბავშვზე ზრუნვის მომსახურება**: ქალთა დასაქმების სტიმულირებისთვის ბავშვთა მოვლის დღისა და საღამოს ცენტრების შექმნა და გაფართოება; ასევე გახანგრძლივებული და საზაფხულო ჯგუფების ფართოდ დანერგვა საბავშვო ბაღებსა და სკოლებში;
- ✓ **სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობა**: სოციალური მეწარმეობის, კოოპერატივების და ბიზნეს ინკუბატორების წახალისება და ხელშეწყობა და აღნიშნული ინიციატივების ხელშეწყობაში მუნიციპალიტეტების როლის გაზრდა;
- ✓ **პროფესიული მომზადება და დასაქმების პროგრამები**: დასაქმების შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად და მოსახლეობის შესაბამისი უნარ-ჩვევების გასაძლიერებლად, პროფესიული მომზადების პროგრამების დანერგვა, განსაკუთრებით - ახალგაზრდებისა და ქალებისთვის. სამუშაო ადგილების შესაქმნელად ადგილობრივ ბიზნესებთან თანამშრომლობის გაძლიერება.

მიგრაციის შემცირება ადგილებზე ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნის გზით

- ✓ **რისკ ჯგუფების იდენტიფიცირება და მხარდაჭერა**: მიგრაციისკენ მიდრეკილი რისკ ჯგუფების (მათ შორის ახალგაზრდები, ოჯახები, რომლებიც ეკონომიკურ სირთულეებს აწყდებიან) გამოვლენა და მათ კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული მიზნობრივი მხარდაჭერის გაწევა;
- ✓ **ბიზნეს გრანტები დაბრუნებულთათვის**: დაბრუნებული მიგრანტებისთვის მეტი მხარდაჭერის პროგრამების (მაგ., მენტორობა ბიზნესის წარსამართად) და ბიზნეს გრანტების შეთავაზება, ადგილობრივ ეკონომიკაში მათი რეინტეგრაციის მიზნით;
- ✓ **თემის განვითარების პროგრამები**: თემის განვითარების ისეთი პროგრამების დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს მიგრაციის შემცირებას, მათ შორის ადგილობრივი დასაქმების, სახელმწიფო სერვისების და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
- ✓ **მონიტორინგი და შეფასება**: რეგულარული მონიტორინგის და შეფასების სისტემის დანერგვა, ეკონომიკური პროგრამებისა და მიგრაციის ტენდენციების გავლენის შესაფასებლად.

საკვების უსაფრთხოება

- ✓ **საკვების უვნებლობის რეგულაციები**: საკვების უვნებლობის რეგულაციების გამკაცრება და მათი აღსრულების მდგრადი მექანიზმების დანერგვა. საკვები პროდუქტების სტანდარტებთან შესაბამისობის რეგულარული შემოწმება;
- ✓ **სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა**: ფინანსური და ტექნიკური დახმარება ადგილობრივ ფერმერებს სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გასაუმჯობესებლად და საკვების წარმოების გასაზრდელად. მდგრადი მეურნეობის მეთოდების ხელშეწყობა;
- ✓ **ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება**: სასურსათო მაღაზიების არსებობის უზრუნველყოფა ყველა სოფელში და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება საკვებ ბაზრებზე წვდომის გასაადვილებლად. სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესება, რათა გაადვილდეს მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებთა, წვდომა საკვებსა და სხვა აუცილებელ მომსახურებებზე;

- ✓ **კვებასთან დაკავშირებული განათლება**: ჯანსაღი კვების ჩვევების და დაბალანსებული კვების შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარება.

ეკოლოგიური უსაფრთხოება

- ✓ **გარემოს მონიტორინგი და მართვა**: მეწყერსაშიში ზონებისა და სხვა გარემოსდაცვითი საფრთხეებისთვის მონიტორინგის სისტემების გაუმჯობესება. ადრეული გაფრთხილების სისტემების დანერგვა და გარემოს დაცვის მდგომარეობის რეგულარული შეფასება რისკების შესამცირებლად;
- ✓ **სანიტარული პირობების გაუმჯობესება**: ძლიერი წვიმების დროს დატბორვის თავიდან ასაცილებლად საკანალიზაციო სისტემების და სანიაღვრე მილების გამართვა. ნარჩენების გატანის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად ნაგვის ურნებისა და ნაგავმზიდი მანქანების რაოდენობის გაზრდა, განსაკუთრებით - სოფლებსა და პატარა ქალაქებში;
- ✓ **ნარჩენების მართვა და გადამუშავება**: ნარჩენების მართვის სათანადო პრაქტიკის ხელშეწყობა საზოგადოების განათლებისა და ნარჩენების გადამუშავების პროგრამების დანერგვის გზით;
- ✓ **წყლის ხარისხის გაუმჯობესება**: წყლის ხარისხის რეგულარული ლაბორატორიული შემოწმებისთვის რესურსების გამოყოფა და თემისთვის უსაფრთხო სასმელი წყლის უზრუნველსაყოფად წყალმომარაგების სისტემების გამართვა;
- ✓ **მწვანე სივრცეები და ურბანული სატყეო მეურნეობა**: მეტი მწვანე სივრცის და ურბანული ტყე-პარკების განვითარება, ჰაერის ხარისხის გასაუმჯობესებლად და თემისთვის დასასვენებელი ადგილების უზრუნველსაყოფად;
- ✓ **სურსათის უსაფრთხოებაზე** გარემო ცვლილებების გავლენის შემცირების და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობის დაცვის მიზნით კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციის სტრატეგიების შემუშავება და განხორციელება;
- ✓ **გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების განათლება**: გარემოს დაცვის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად საგანმანათლებლო კამპანიების გაფართოება და მასშტაბურობის გაზრდა.

ჯანმრთელობის უსაფრთხოება

- ✓ **ხელმისაწვდომი ჯანდაცვის მომსახურება**: პირველადი ჯანდაცვის მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, განსაკუთრებით - სოფლად და კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში. მობილური სამედიცინო მომსახურების ჯგუფების მუშაობის პრაქტიკის დანერგვა, განსაკუთრებით - სოფლებსა და კონფლიქტის გამყოფ ზოლთან მდებარე ლოკაციებში;
- ✓ **ხელმისაწვდომი მედიკამენტების პროგრამები**: მოწყვლადი მოსახლეობისთვის უფასო ან სუბსიდირებული მედიკამენტების პროგრამების შეთავაზება, მათ შორის ხანდაზმულებისა და ქრონიკული დაავადებების მქონე პირებისთვის;
- ✓ **ჯანმრთელობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლება**: მეტი საინფორმაციო კამპანიის ჩატარება რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ხელმისაწვდომი ჯანდაცვის პროგრამების შესახებ;

- ✓ **ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურებები**: ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურებებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდა, პირველად ჯანდაცვის მომსახურებებში საკონსულტაციო ცენტრების დაარსებით და ფსიქიკური ჯანმრთელობის კომპონენტის ინტეგრირებით. პირველად ჯანდაცვაში დასაქმებული სერვისის მომწოდებელი ექიმებისთვის ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე სპეციალიზებული ტრენინგების ჩატარება;
- ✓ **დაავადებების პრევენცია და კონტროლი**: დაავადებების პრევენციისა და კონტროლის პროგრამების განხორციელება, მათ შორის ჯანმრთელობის რეგულარული სკრინინგისა და ვაქცინაციის კამპანიების ჩატარება და სათემო პროგრამების დანერგვა გადამდები დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად;
- ✓ **ქალების ინფორმირება რეპროდუქციული უფლებებისა და საკითხების შესახებ**: რეპროდუქციული უფლებების, ოჯახის დაგეგმვის და ხელმისაწვდომი ჯანდაცვის მომსახურებების შესახებ ქალების ფართო ინფორმირებისთვის ყოვლისმომცველი საგანმანათლებლო კამპანიების ჩატარება, როგორც ქალაქებში, ასევე სოფლებში;
- ✓ **საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიები**: საზოგადოებრივი უსაფრთხოების ზომების შესახებ მეტი საინფორმაციო კამპანიების ჩატარება. მოსახლეობის წახალისება სამეზობლო მეთვალყურეობის პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად, რომლის დროსაც მათ შეუძლიათ ერთობლივად გარემოს მონიტორინგის განხორციელება, ოჯახში ძალადობის ან ძალადობის სხვა ფორმებზე, შესაბამის ორგანიებში შეტყობინებების გაგზავნა.

საზოგადოებრივი უსაფრთხოება

- ✓ **საგზაო უსაფრთხოების ზომები**: ჭკვიანი კამერების და სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების ფართოდ დამონტაჟება, განსაკუთრებით - სკოლებთან, საბავშვო ბაღებთან და მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში. მუნიციპალიტეტის ფუნქციის და პასუხისმგებლობის გაძლიერება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ზომების მონიტორინგსა და აღსრულებაზე, მაგალითად, განსაკუთრებული რისკის მქონე ლოკაციებში რეგულარული ინსპექტირების ჩატარება და მოძრაობის კონტროლის მოწყობილობების დროული მოვლის უზრუნველყოფა; შესაბამის ორგანოებთან კოორდინაცია;
- ✓ **მავნე ნივთიერებათა გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლა**: ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერებების მავნე ზემოქმედების შესახებ ფართო საგანმანათლებლო კამპანიების ჩატარება, განსაკუთრებით - მოზარდებთან და ახალგაზრდებთან. ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა, მათ შორის შესაბამისი მუნიციპალური პროგრამების დანერგვით;
- ✓ **დანაშაულის პრევენციის პროგრამები**: საზოგადოებრივი პოლიციის მუშაობისა და დანაშაულის პრევენციის ინიციატივების დანერგვა და გაფართოება. სამართალდამცავი ორგანოების ხილვადობის გაზრდა, განსაკუთრებით სოფლებსა და კონფლიქტის გამყოფ ხაზთან მდებარე ტერიტორიებზე;
- ✓ **საგანგებო რეაგირების სისტემები**: საგანგებო რეაგირების სისტემების გაუმჯობესება და დროული და ეფექტიანი დახმარების უზრუნველყოფა კრიზისების დროს. რეგულარული ტრენინგების და წვრთნების უზრუნველყოფა საგანგებო სიტუაციების პერსონალისთვის და მოსახლეობისთვის საგანგებო ვითარებაში მზადყოფნისა და რეაგირების გასაუმჯობესებლად;

- ✓ **საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიები:** საზოგადოებრივი უსაფრთხოების ზომების შესახებ მეტი საინფორმაციო კამპანიის ჩატარება. მოსახლეობის წახალისება სამეზობლო მეთვალყურეობის პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად, რომლის დროსაც მათ შეუძლიათ ერთობლივად გარემოს მონიტორინგის განხორციელება, ოჯახში ძალადობის ან ძალადობის სხვა ფორმებზე, შესაბამის ორგანოებში შეტყობინებების გაგზავნა.

პირადი უსაფრთხოება

- ✓ **ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ პრევენციული ზომები:**
  - **საზოგადოებრივი პოლიცია და სამართალდამცავი ორგანოები:** საზოგადოებრივი/სათემო პოლიციის პრაქტიკის დანერგვა პოტენციური მოძალადეების ადრეული იდენტიფიცირებისთვის; დასახლებებში უბნის ინსპექტორების და მართლწესრიგის ოფიცრების რეგულარული ვიზიტების წარმოება და მოსახლეობასთან თანამშრომლობის გაძლიერება. სამართალდამცავი ორგანოების მგრძნობელობის გაზრდა ოჯახში ძალადობის საკითხების მიმართ;
  - **უსაფრთხო საკომუნიკაციო არხები:** ოჯახში ძალადობის შესაძლო ინციდენტების შესახებ უბნის ინსპექტორებთან ან მართლწესრიგის ოფიცრებთან შეტყობინების უსაფრთხო და კონფიდენციალური საკომუნიკაციო არხების უზრუნველყოფა;
  - **მოძალადეების ქცევის კორექციის პროგრამების გაძლიერება:** ძალადობრივი ქცევის პრობლემების მქონე პირთა ურთიერთდახმარების ჯგუფების ფუნქციონირების უზრუნველყოფა, პროფესიონალი ფსიქოლოგების ფასილიტაციით;
  - **ცნობიერების ამაღლება:** ძალადობის მიმართ საზოგადოების ნულოვანი ტოლერანტობის დამკვიდრება და ძალადობის შესაძლო ინციდენტების შესახებ შეტყობინების მნიშვნელობაზე ცნობიერების ამაღლების კამპანიების აქტიური ჩატარება;
  - **სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების როლის და ჩართულობის გაზრდა** ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციის და რეაგირების საქმეში. მათი ინფორმირება ოჯახში ძალადობის ნიშნების უკეთ ამოცნობის და ძალადობაგამოვლილ ქალთა შესაბამის მხარდაჭერის სერვისებში გადამისამართების უზრუნველსაყოფად.
- ✓ **ოჯახში ძალადობის ინციდენტებზე რეაგირების გაძლიერება**
  - **მხარდაჭერის სერვისებზე წვდომის გაზრდა:** ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის მხარდაჭერისა და დახმარების მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა სერვისების გეოგრაფიული არეალის და ონლაინ კონსულტაციების გაფართოების გზით;
  - **კოორდინაციის გაუმჯობესება:** რეფერალური სისტემის ყველა სუბიექტს შორის თანამშრომლობის და კოორდინაციის გაუმჯობესება, რაც გულისხმობს სოციალური მუშაკების, ჯანდაცვის მიმწოდებლების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამართალდამცავი ორგანოების და მუნიციპალიტეტების წარმომადგენელთა შორის სისტემატურ თანამშრომლობას და კოორდინირებულ ძალისხმევას ძალადობაგამოვლილი ქალებისა და მათი ოჯახებისთვის ყოვლისმომცველი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად;

- **მუნიციპალიტეტის ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილებების მუშაობის გაძლიერება,** განსაკუთრებით - აღნიშნული განყოფილების სოციალური მუშაკების და ფსიქოლოგების ჩართულობის გაზრდა მოწყვლადი ოჯახების იდენტიფიცირებასა და მხარდაჭერის საქმეში. მათი რეგულარული კომუნიკაციის უზრუნველყოფა ბაღებისა და სკოლების წარმომადგენლებთან და მშობლებთან ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

✓ **საზოგადოების ჩართულობა და მონაწილეობა**: ადგილობრივი მმართველობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობა.

✓ **ახალგაზრდული პროგრამები და სივრცეები**: მუნიციპალურ ცენტრებსა და სოფლებში ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის ღია სპორტული მოედნების მოწყობა, ხელოვნების და კულტურის მრავალპროფილური წრეების გახსნა, ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება; სოფლებში ახალგაზრდული სივრცეების შექმნა, სადაც ახალგაზრდებს ექნებათ შეკრების და თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარების ან/და არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა.

ქალთა ფონდი „სოხუმი“

შემაჯამებელი ანგარიშის ავტორი

ეკატერინე გამახარია

კვლევის მონაცემების სისტემატიზაცია:

ემა კამკია, ნინო კორინთელი, ხათუნა გოგუა

ინგლისურიდან თარგმნა ელისო ფანცხავამ

დამკაბადონებელი - ლია კოსტავა

მისამართები:

ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის ქ. 6

ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №29 ბ, საოფისე ფართი №2

ელფოსტები:

fundsukhumitbilisi@gmail.com

womansukhumi@gmail.com

ვებგვერდები:

www.fsokhumi.ge

https://sosfsokhumi.ge/

ფეისბუქგვერდები:

www.facebook.com/fsokhumi/

www.facebook.com/WFSTbilisiOffice